სამაგალითო

№11(203)
ნოემბერი
2012

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

11.10.1962

50

ვატიკანის II კრების იუბილე

11.10.2012

„თუ მრავალია, მე რატომ არა?“

ლათინური წესის კათოლიკური ეკლესიის ლიტურგიული კალენდრის მიხედვით, ნოემბრის თვის პირველ დღეს ყველა წმიდათა დღესასწაული აღინიშნება; მაინც როგორია ამ დღესასწაულის დაწესების ისტორია? წამებულთა მოხსენიების დღის აღნიშვნა, რომელიც საერთოა სხვადასხვა ეკლესიისთვის, IV საუკუნიდან დაიწყო. თავდაპირველად ანტიოქიაში დაწესდა ყველა წმიდანის ერთად მოხსენიება, ღვთისმსახურება სულთმოფენობის პირველ კვირას სრულდებოდა. ამ ტრადიციის შესახებ წერს წმიდა იოანე ოქროპირი (407) თავის ერთ-ერთ ჰომილიაში. ყველა წმიდათა დღესასწაული დაწესდა მაშინ, როგორც კი პაპმა წმ. ბონიფაციუს IV-მ (608-615) ბიზანტიის იმპერატორ ფოკასაგან საჩუქრად მიიღო რომის პანთეონი (ღვთაებების სახელზე აგებული ანტიკური ტაძარი) და იგი ღვთისმშობლისა და წამებულთა სახელზე შესწირა ღმერთს, მან აქვე გადმოატანინა მრავალი წამებული ქრისტიანის ძვლები. ეს მოხდა 609 წლის 13 მაისს. ასევე მომხიბვლელია ის ვერსიაც, რომლის მიხედვითაც რომში პანთეონის ქრისტიანულ ტაძრად კურთხევა უკავშირდება ხატმებრძოლეობას აღმოსავლეთში, რაც რომის ეკლესიის ერთგვარი პასუხი იყო მათდამი, ვინც მის ლეგიტიმურობას უარყოფდა. გაურკვეველია ამ დღესასწაულის აღნიშვნის თარიღის – 1-ლი ნოემბერი – დადგენის მიზეზი: როგორც ჩანს, 800-იანი წლებიდან მოყოლებული, ალკუინი, კარლოს დიდის მრჩეველი, ირლანდიური სამონასტრო ცხოვრებიდან წამოსული მოთხოვნების კვალდაკვალ, არწმუნებდა მას, რომ ყველა წმიდათა დღესასწაული ამ დღეს დაედგინათ, რათა ამ გზით „გაექრისტიანებინათ“ სამჰაინის (Samhain), ანუ კელტური ახალი წლის წარმართული დღესასწული, რომელიც სწორედ პირველ ნოემბერს აღინიშნებოდა. კელტური ადათების მიხედვით, სამჰაინის დროს, მიცვალებულებს შეეძლოთ იმ ადგილებს დაბრუნებოდნენ, სადაც ისინი სიცოცხლეში დადიოდნენ, ყველა ზეიმი მათ პატივსაცემად იმართებოდა. სწორედ ამით აიხსნება ისტორიულად, თუ რატომ იხსენიებენ 2 ნოემბერს ყველა მორწმუნე მიცვალებულს.

წმ. იოანე ოქროპირი

მოგვიანებით, პაპი გრიგოლ III (731-741) პირველ ნოემბერს წმიდა პეტრეს სამლოცველოში რელიკვიების – „წმიდა მოციქულთა და ყველა წმიდათა, მარტვილთა და აღმსარებელთა, და ყველა მართალთა, რომელნიც განისვენებენ წუთისოფლის სიმშვიდეში“, – კურთხევის აღმნიშვნელ თარიღად ირჩევს. ყოველთა წმიდათა დღე სიხარულის, იმედის, რწმენის დღესასწაულია. ეს ერთ-ერთი დახვეწილი და ინტელექტუალური დღეა მათ შორის, რასაც ქრისტიანული ლიტურგია გვთავაზობს; იგი მთელ კაცობრიობას ეკუთვნის, მეტადრე კაცობრიობის იმ ნაწილს, რომელიც ესავდა, განიცდიდა, სამართალს ეძებდა, რომელიც დამარცხებული ჩანს, მაგრამ სინამდვილეში ტრიუმფატორია. ყოველთა წმიდათა დღესასწაული მოიხსენიებს არა მხოლოდ იმ წმიდანებს, რომლებიც კალენდარშია აღნიშნული და რომლებსაც თაყვანს ვცემთ საკურთხეველზე, არამედ მათაც, რომლებმაც ისე ფეხაკრეფით განვლეს ამქვეყნიური ცხოვრება, რომ ვერავინ შეამჩნია, მაგრამ თავიანთი უთქმელი, წყნარი გულით ღვთისა და მოყვასის სიყვარულის დიდებული მოწმეობა დაგვიტოვეს; შეიძლება ესენი იყვნენ ჩვენი ახლობლები, მეგობრები, მშობლები, თავმდაბალი ქმნილებები, რომლებმაც ისე უხმაუროდ, უანგაროდ თესეს სიკეთე, რომ ვერც კი შევამჩნიეთ. სადღაც წამიკითხავს, რომ ერთი სოფლის მოხუცი

წინამძღვარი, ყოველთა წმიდათა დღესასწაულზე ეკლესიიდან ყველა ხატსა და ქანდაკებას იღებდა. ალბათ, უცნაურად გვეჩვენება, მაგრამ კარგად რომ დავფიქრდეთ, ხომ არ გვძლევს ის ფიქრი, რომ წმიდანები ძნელად მისაბაძი და ამქვეყნიური ცხოვრებისგან შორს მყოფი არსებები არიან? სინამდვილეში ასე როდია. ყოველთა წმიდათა დღესასწაულზე ეკლესია შეგვაგონებს, რომ წმიდანები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ისინი წარმოადგენენ იმ ყოველი დროის მოწაფეთა ერთობლიობას, ვინც შეისმინა სახარება და მის მიხედვით იცხოვრა. ყოველთვის საჭიროა მათი ყოფნა ოჯახებში, პოლიტიკაში, სკოლაში, საავადმყოფოში... სწორედ წმიდათა დამსახურებაა, რომ დედამიწა არ ნადგურდება, მიუხედავად ამდენი ბოროტებისა. შესანიშნავად განსაზღვრა წმიდანის სახე ერთმა პატარა ბავშვმა: მასწავლებელმა თავისი კლასის მოსწავლეები ეკლესიაში წაიყვანა განათებულ ვიტრაჟებზე გამოსახული წმიდანების სანახავად. რელიგიის გაკვეთილზე, კითხვას, თუ ვინ არიან წმიდანები, ერთ-ერთმა ბავშვმა ასე უპასუხა:“ისინი არიან, ვინც სინათლეს ასხივებენ“. მართლაც გასაოცარი განსაზღვრებაა: წმიდანები ღვთაებრივ სინათლეს ასხივებენ, რომელიც კვლავინდებურად ანათებს მსოფლიოს. მართლმადიდებელი თეოლოგი კაბასილასი (XIV ს) წერდა: „თავისთავად არავის აქვს სიწმინდის ნიჭი; ის არ არის ადამიანთა წყალობა, მას ქრისტეს მიერ და მისი მეშვეობით იღებენ; თითქოს მზის გულზე უამრავი სარკე გამოფენილიყოს: ყველა ისე ბრწყინავს და იმდენ სხივს უშვებს, გეგონება, უამრავ მზეს ხედავდე, სინამდვილეში მზე ერთადერთია, რომელიც ყველაში ბრწყინავს“. წმიდათა დღესასწაულზე სიხარულით აღვნიშნავთ, რომ ჩვენც, ყველანი, მოწოდებულნი ვართ სიწმინდისკენ. სწორედ ასეთი განახლებული სული აჩვენა ვატიკანის II კრებამ 50 წლის წინ (1962-1965). ეკლესიის დოკუმენტის – Lumen gentum, V თავში ვკითხულობთ: „ამიტომაც, მთელ ეკლესიაში... ყველა მოწოდებულია

წმ. ავგუსტინე

სიწმიდისკენ, მოციქულის სიტყვების თანახმად, ეს არის ნება ღვთისა: რათა ყველანი განიწმინდოთ“, სიწმინდისკენ ამგვარი მოწოდება კრების მიერ დასახული ყველაზე აუცილებელი და ყველაზე გადაუდებელი მოვალეობაა. მაგრამ როგორია გზა სიწმინდისკენ? იესომ იგი ნეტარებათა უწყებებით დაგვანახა, რომელიც სახარების სინთეზია, ეს არის სარკე, რასაც ქრისტეს ყოველმა მოწაფემ უნდა შეადაროს თავი. ყოველ სამეფოს თავისი კანონები აქვს, ნეტარებანი ღვთის სამეფოს კანონია. ვინც მას დაიცავს, სასუფევლის ბედნიერებას ეზიარება. ღმერთმა ჩვენს გულში ბედნიერებისკენ ლტოლვა ჩადო, როგორც მასთან ჩვენი მსგავსების საბოლოო ნიშანი. ღმერთი უზენაესი სიკეთე, გამორჩეული ნეტარია. თუ გვსურს ღვთის შვილებად ყოფნა, ბედნიერები უნდა ვიყოთ. წმიდა ავგუსტინე წერდა, რომ „ქრისტიანის მთელი ცხოვრება სიწმინდის სურვილშია გამოხატული. ამ სურვილის მეშვეობით... იზრდება სული. წმიდანი ვერ გავხდებით, თუკი ჩვენში ამის სურვილი არ იქნება. სურვილის გარეშე ვერანაირ საქმეს ვერ შევასრულებთ. სურვილი არის ქარი, რომელიც აფრებს მაღლა უშვებს და ნავს წინსვლის საშუალებას აძლევს. იგი სულიერი ცხოვრების ძრავაა. ამრიგად, წმიდანობა მცირედ-რჩეულთა ხვედრი როდია, ეს სულისკვეთება მუდმივად არსებობს ყველა მორწმუნე ადამიანში, ვისაც კი სჯერა, რომ უწინარესად ეს ღვთის ჩანაფიქრია, რომელსაც ვერავინ აღუდგება წინ, და რომელიც ქრისტეს მსხვერპლის ფასად დადგინდა, რომელმაც ჩვენს გადასარჩენად, ანუ ჩვენი სიწმინდისათვის გასწირა თავი. ამ ნათელი მიზნის უარყოფა კი ნიშნავს იმას, რომ პასუხი ვაგოთ იმ დიდ ცოდვაზე, რომელიც უფლის მაცხოვნებელ საქმეს ამაოდ და უსახურად აქცევს. წმიდა ავგუსტინე, წმიდანთა მიმართ წმიდა შურით აღძრული, იმეორებდა: „თუკი მრავალია, მე რატომ არა?“.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

ვატიკანი II კრების 50 წლისთავი

11 ოქტომბერს კათოლიკე ეკლესიამ ვატიკანის II კრების გახსნის 50 წლისთავი აღნიშნა. ამ დღის აღსანიშნავად წმიდა პეტრეს მოედანზე წირვა აღევლინა. ამავე დღეს ბენედიქტე XVI-მ რწმენის წელიწდეულის დასაწყისი გამოაცხადა. წირვის შემდეგ, უწმიდესმა პაპმა თავის სიტყვაში 50 წლის წინანდელი მოვლენა გაიხსენა:

„1962 წლის 11 ოქტომბერს მეც აქ გახლდით. მახსოვს, როგორ შედიოდნენ სხდომათა დარბაზში მღვდელმთავრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ეს იყო სახე ქრისტეს ეკლესიისა, რომელმაც მთელი დედამიწა მოიცვა, რომელშიც მთელი ერები გაერთიანდნენ. ეს მოლოდინის მომენტი იყო: რაღაც დიდებული უნდა მომხდარიყო. ჩვენ ვხედავდით, რომ ქრისტეს ყანაში სარეველებიც ხარობდნენ, ვხედავდით, რომ პეტრეს ბადეში ცუდი თევზიც ხვდებოდა, რომ ეკლესიაშიც იჩენდა თავს ადამიანური სისუსტე. მაგრამ შემხვედრი ქარი ვერ აფერხებდა ეკლესიის ხომალდის წინსვლას. კრების მამებს არ სურდათ და არც შეეძლოთ რწმენის ან ეკლესიის შეცვლა, არამედ მხოლოდ სიღრმისეული გააზრება და განახლება. ისე ჩანდა, რომ ქრისტიანობა, რომელსაც მთელი დასავლური სამყარო ეფუძნება, „დაიღალა“ და თავის ქმედით ძალას კარგავს. არსებულ პრობლემათა დაძლევის გზა ჩინებულად განისაზღვრა სიტყვით „განახლება“. მას შემდეგ 50 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე ჩვენ კვლავინდებურად ვხედავდით პირველქმნილი ცოდვის კვალს. სასოწარკვეთასაც ვეძლეოდით: რამდენჯერ გვიფიქრია, რომ უფალმა დაგვივიწყა. მაგრამ ამ მწარე გამოცდილებასთან ერთად, ჩვენ უფლის მყოფობის, მისი მადლის, მისი ძალის ახალი გამოცდილებაც შევიძინეთ. სულიწმიდის, იესო ქრისტეს ცეცხლი არც წვავს და არც ანადურებს, არამედ გვათბობს და ნათელს გვფენს. უფალი არ გვტოვებს. ქრისტე ცოცხალია და დღსაც ჩვენს შორისაა. მსურს, დავასრულო მიმართვა ჩემი წინამორბედის, პაპ იოანე XXIII-ის პოეტური და სიკეთით აღსავსე სიტყვებით: „წადით სახლებში, ეამბორეთ თქვენს შვილებს და უთხარით, რომ ეს ამბორი პაპისაგანაა“.

„ქრიტე ასე ლოცულობდა ერთობისთვის: „დაიცავი შენი სახელით ესენი, რომლებიც შენ მომეცი, რათა ჩვენსავით ერთნი იყვნენ“. მართლაც, საუკუნეთა მანძილზე დაცულნი ვართ ქრისტეს ძალითა და სიყვარულით. და ჩვენ მივუყვებით გზას ხილული ერთობისკენ, რომელიც იესოს სურდა ჩვენთვის. ორმოცდაათი წლის წინ, სწორედ ამ მოედანზე, დაიწყო ზეიმი, რომელმაც მოიცვა რომის კათოლიკე ეკლესია და საუკუნეთა სიღრმიდან თანამედროვეობაში გადმოიყვანა“, – აღნიშნა თავის მისასალმებელ სიტყვაში მსოფლიო პატრიარქმა ბართლომე I-მა.

ვატიკანის II კრების უდიდეს მნიშვნელობაზე და მის გავლენაზე უწმიდესმა პაპმა 15 ოქტომბერს, ეპისკოპოსთა კონფერენციების მეთაურების, მსოფლიო პატრიარქისა და ანგლიკანური ეკლესიის მეთაურის აუდიენციისას ისაუბრა: „დარწმუნებული ვარ, რომ ნეტარმა იოანე XXIII-მ ზუსტი სიტყვა აირჩია თავისი აზრის გამოსახატად – aggiornamento. ქრისტიანობა არ უნდა განვიხილოთ, როგორც წარსულის რაღაც მოვლენა; ქრისტიანობა არ არის ხე, რომელიც ოდესღაც აღმოცენდა მდოგვის მარცვლიდან, გაიზარდა და ნაყოფი გამოიღო, ოდესმე კი დაბერდება და სიცოცხლის ძალას დაკარგავს. ქრისტიანობა არის ხე, რომელიც მუდამ ხარობს, მუდამ ახალგაზრდაა“.

„ახალი ევანგელიზაცია ქრისტიანული რწმენის გაზირებისათვის“

ეს არის თემა, რომელსაც კათოლიკე მღვდელმთავრები ეპისკოპოსთა სინოდის XIII ასამბლეის მსვლელობისას განიხილავდნენ. ასამბლეის დაწყების შესახებ უწმიდესმა პაპმა 7 ოქტომბერს, წმიდა პეტრეს მოედანზე გამოაცხადა:

NEW EVANGELIZATION
World Synod of Bishops

„საზეიმო ღმრთისმსახურებით ვხსნით ეპისკოპოსთა სინოდის XIII ასამბლეას. სიხარულითა და მადლიერებით მივესალმები კათოლიკე მღვდელმთავრებს, სხვა ეკლესიებისა და საეკლესიო თემების წარმომადგენლებს და ყველა მონაწილეს. გთხოვთ, თქვენს ყოველდღიურ ლოცვებში მოიხსენიოთ ჩვენი ეს შრომა, რომელიც სამ კვირას გასტანს. განსაკუთრებული მეოხება ვთხოვოთ დიდ ევანგელიზატორებს, რომელთა შორის უდიდესი, იოანე პავლე II, სიყვარულით მსურს გავიხსენო; მივენდოთ უწმიდეს ქალწულ მარიამს, ახალი ევანგელიზაციის ვარსკვლავს; მოვიხმოთ სულიწმიდა, გაანათლოს ჩვენი საქმე, რათა კეთილი იყოს მისი ნაყოფი“.

26 ოქტომბერს ეპისკოპოსთა სინოდმა გამოაქვეყნა ასამბლეის დასკვნითი დოკუმენტი „ეპისტოლე ღმრთის ხალხის მიმართ“. სინოდის მამები მოუწოდებენ მორწმუნეებს, განაგდონ პესიმიზმი, გლობალიზაციის, სეკულარიზაციის, ათეიზმის შიში. ყველა ეს გამოწვევა ახალი ევანგელიზაციის საბაბად უნდა იქცეს. „საუბარი იმაზე კი არ არის, რომ გავავრცელოთ სახარება, როგორც საბაზრო პროდუქტი. მუდამ უნდა ვეძიოთ ახალი გზები, რომელთა მეშვეობით ადამიანები ქრისტესთან შეხვედრის მშვენიერებას შეიგრძნობენ“, – ნათქვამია დოკუმენტში. სინოდის მონაწილეთა აზრით, ახალი ევანგელიზაციისათვის აუცილებელია ორი რამ: ლოცვა, რომელიც ღმრთის სიტყვის მიღებაში გვეხმარება და მსახურება ღატაკთათვის, რომლებშიც ქრიტეს სახეს ამოვიცნობთ.

კიდევ ერთხელ სირიელი ქრისტიანების შესახებ

ალეპოს ქალდეური წესის კათოლიკეთა ეპისკოპოსი, ანტუან აუდო მსოფლიო საზოგადოებრიობას სირიელ ქრისტიანთა სავალალო მდგომარეობის შესახებ ახსენებს: „აფეთქებების შიშით, ისინი თავიანთ სამკვიდროს ტოვებენ, მოკლებულნი არიან ყოველგვარ საარსებო საშუალებებს. არ მუშაობს სკოლები, საავადმყოფოები და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებები. საოცრად შეიცვალა ქალაქის იერსახე: ყველგან ნგრევის ნიშნები და სიბინძურეა. პერმანენტულ ხასიათს ატარებს ქრისტიანთა დევნა. თითქმის დაცლილია ქრისტიანული დასახლებები, წაბილწულია უკლებლივ ყველა ეკლესია“.

25 ოქტომბერს ქალაქ კანაში დაუდგენელმა შეიარაღებულმა პირებმა გაიტაცეს ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელი ფადი ალ-ჰადადი. გატაცება იმ დროს მოხდა, როდესაც მღვდელი თავისი სამრევლოს წევრთა გამტაცებლებისთვის გამოსასყიდის გადაცემას ცდილობდა. რამდენიმე საათის შემდეგ, ფადი ალ-ჰადადის სხეული ქალაქის შემოგარენში იპოვეს.

ამჟამად წმიდა საყდრის სახელმწიფო სამდივნოში დგინდება სინოდალური დელეგაციის შემადგენლობა, რომელიც სირიაში გაემგზავრება. სახელმწიფო მდივნის, ტარჩიზიო ბერტონეს განცხადებით, ინიციატივამ მაღალი შეფასება მიიღო საერთაშორისო დონეზე და საკუთრივ სირიაშიც.

რმე-ს საეჭვო დიპლომატია

„მოსკოვის საპატრიარქო, სკანდალური როკ-ჯგუფის Pussy Riot-ს საქმესთან დაკავშირებით, რომის პაპის ავტორიტეტის გამოყენებას ცდილობს. ქრისტე მაცხოვრის ტაძარში გამოსვლის შემდეგ ჯგუფის მონაწილეებს პატიმრობა მიუსაჯეს. მას შემდეგ, რაც ბენედიქტე XVI-მ ერთმნიშვნელოვნად არ მოიწონა ტაძარში ცეკვის ფაქტი, მიტროპოლიტმა ილარიონმა მიიჩნია, რომ პაპი სრულად იზიარებს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციას. თუმცა რუსეთის ეკლესიის მღვდელმთავარს არ უცნობებია პაპისთვის სასამართლო განაჩენის შესახებ. პაპი არ ამართლებს ადამიანთა სისხლის სამართლებრივ დევნას უგუნურებისთვის და მათ, ვინც ამას ჩადის“, – წერს საიტი BENEDIKTXVI.RU.

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირთა განყოფილების თავმჯდომარე, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონი უწმიდეს პაპს 16 ოქტომბერს, ეპისკოპოსთა სინოდის ასამბლეის სხდომის შემდეგ შეხვდა. მოსკოვის საპატრიარქოს ოფიციალური საიტის ცნობით, „საუბარი შეეხო... სხვადასხვა ქვეყნებში ქრისტიანულ სიწმიდეთა წაბილწვას, მათ შორის ვანდალიზმის აქტს, რომელიც მოსკოვში, ქრისტე მაცხოვრის ტაძარში განხორციელდა. რომის პაპმა ბენედიქტე XVI-მ სოლიდარობა გამოაცხადა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციასთან და გაკვირვება გამოთქვა ამ მოვლენაზე მას-მედიის რეაქციასთან დაკავშირებით.

წმიდა საყდრის რაინდული ორდენები

16 ოქტომბერს ვატიკანის საინფორმაციო სამსახურმა გამოაქვეყნა სახელმწიფო სამდივნოს განცხადება-განმარტება, რომლის თანახმად ქრისტეს უმაღლესი ორდენის, ოქროს დეზის, წმ. პიუს IX-ის, წმ. გრიგოლი დიდისა და წმ. სილვესტრეს ორდენების გარდა, წმიდა საყდარი აღიარებს მხოლოდ მალტისა და უფლის საფლავის ორდენებს. სხვა ორდენებს, მიუხედავად მათი არსებობის ხანგრძლივობისა, წმიდა საყდარი არ ცნობს და მათ ისტორიულობასა და ლეგიტიმურობაზე პასუხს არ აგებს.

მოამზადა **რუსუდან ავალიშვილმა**



ამიერკავკასიაში ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორის, **ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს** ჰომილია

სავარდის დედუფლისადმი მიძღვნილი ეკლესიის კურთხევა რაბათში

„მოხედე შენი მსახურის ლოცვა-ვედრებას, უფალო, ღმერთო ჩემო,

ისმინე ღაღადი და ლოცვა, რომლითაც მოგმართავს დღეს შენი მსახური. თვალი გეჭიროს ამ სახლზე ღამით და დღით, ამ ადგილზე, რომლის გამოც ნათქვამი გაქვს, აქ იქნებაო ჩემი სახლი; რომ ისმინო ლოცვა, რომელსაც იტყვის ამ ადგილას შენი მსახური.

ისმინე შენი მსახურისა და შენი ერის, ისრაელის, ვედრება, როცა დადგებიან ლოცვად ამ ადგილას.

ისმინე შენს სამყოფელ ადგილზე – ცათა შინა, – ისმინე და შეგვიწყალე“ (3 მეფ. 8, 28-30).

მსურს, ეს სიტყვები, რომელიც დიდმა სოლომონ მეფემ იერუსალიმის ტაძარში წარმოთქვა აღთქმის კიდობნის დავანების დღეს, იქცეს ჩვენს ლოცვად ახლა და ყოველთვის, როცა ამ წმიდა ადგილის ზღურბლს გადავაბიჯებთ.

მივესალმები მონსინიორ მარეკს, წმიდა საყდრის დესპანს საქართველოში; სომხური კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარს, მთავარეპისკოპოს რაფაელ მენასიანს; მონსინიორ ბენიამინს, ქალდეური კათოლიკური ეკლესიიდან; მონსინიორ ფეკეტეს, რომელიც აზერბაიჯანის ეკლესიას წარმოადგენს; კაპუცინთა მთავარი წინამძღვრის წარმომადგენელს, მამა რაფაელს; ჩემს ძვირფას თანამოძმე მღვდელმსახურებს, და თქვენ, ძვირფასო ძმანო და დანო.

მიხარია, რომ თქვენთან ერთად ვარ თანაზიარების, სიხარულისა და ღმერთისადმი მადლიერების ამ განსაკუთრებულ წუთებში. მართლაც მრავალმა ადამიანმა შეიტანა წვლილი ამ ეკლესიის აღდგენასა და მონასტრის აშენებაში. ყოველი მათგანი ძალიან ახლობელია ჩემთვის და უფალს შევავედრებ მათ ამ ევქარისტიაში.

დღევანდელი ლიტურგია ნიშნებით არის მდიდარი. სიმბოლურად გადმომეცა ახალი ეკლესიის გასაღები, რომლითაც წინამძღვარს მთავარი ჭიშკრის გაღების უფლება მივანიჭე. ახლა, ლიტანიების შესრულების შემდეგ, საკურთხეველში მოვათავსებ წმიდათა რელიკვიებს და წმიდა მირონს ვცხებ მას. შემდეგ მოხდება ტაძრის კედლებზე მონიშნული ოთხი ჯვრის ცხება, და საკურთხევლისა და ეკლესიის საკმევლით კმევა. დასასრულს, ეკლესია საზეიმოდ განათდება. ყველა ეს ნიშანი განსჯის და დაფიქრების საფუძველს გვაძლევს.

ეკლესიის კურთხევის ლიტურგია უძველესი დროიდან მომდინარეობს, მის ფესვებს ბიბლიაში ვხვდებით, კერძოდ, ის იერუსალიმის ტაძრის კურთხევას უკავშირდება. და როგორც ტაძრის კურთხევა იქცა შესაძლებლობად ისრაელის ხალხის თავს გადამხდარი ამბების გასახსენებლად, ჩვენც გვეძლევა შესაძლებლობა, გავიხსენოთ ქრისტიანული საკრებულოს გასაოცარი ისტორია საქართველოში და მადლობა შევწიროთ უფალს აქ დამსწრე თითოეული თქვენგანისათვის.

ეს ეკლესია რწმენის, ჩვენი გამოცდილების წმიდა მწვერვალია, მწვერვალი, საიდანაც იღვრება და ვრცელდება საიდუმლოების ბრწყინვალება, მწვერვალი, სადაც შევიგრძნობთ სიხარულს იმის გამო, რომ ვართ რჩეულნი და დაფუძნებულნი მტკიცე კლდეზე – ჩვენს უფალ და მაცხოვარ იესო ქრისტეზე. იესოა ღვთის ჭეშმარიტი ტაძარი, როგორც მოციქული იოანე წერს თავის სახარებაში; იგია ჭეშმარიტი ეკლესია, ადამიანის ჭეშმარიტი და სრული აღსრულება, უმთავრესი და საბოლოო სიკეთე, რომელიც მნიშვნელობას ანიჭებს სიკეთეებს, რომელიც ყოველი სურვილის, ძიების, იმედის საგანია.

ეკლესიის კურთხევის ერთ-ერთ ლამაზ ქადაგებაში წმიდა ავგუსტინე ამბობდა: „ეს მატერიალური ქვები რომ არ ყოფილიყვნენ ერთმანეთთან სიყვარულით შედუღაბებული, ადვილად რომ არ მისადაგებოდნენ ერთმანეთს, ერთგვარად არ „ჰყვარებოდათ“ ერთმანეთი და არ დაკავშირებოდნენ ერთმანეთს, ეს ტაძარი არ იარსებებდა.“ ამ ტაძრის კურთხევისას, ჩვენც გვსურს ურთიერთსიყვარულით გაერთიანება, რათა მგზნებარედ განვლოთ აწმყო და იმედით გავიხსნათ მომავლისთვის,

დარწმუნებულნი, რომ „იესო ქრისტე იგივეა გუშინ და დღეს და უკუნისამდე“ (ებრ. 13,8).

ვატიკანის II კრების მამებმა ეკლესიის საიდუმლოებას მიუძღვნეს დოგმატური დადგენილება Lumen gentium, ეკლესიოლოგიის ნამდვილი შედევრი. ეკლესიას ეწოდა გასაოცარი სახელი – „ხალხთა ნათელი“, და მიენიჭა „სახლის“ ფუნქცია, რომელიც ქრისტიანული საკრებულოს ცენტრად უნდა იქცეს. ეს არის „სახლი“, სადაც ჭეშმარიტი სიცოცხლეა, – სიცოცხლე ღმერთთან, – და სადაც ყველა ადამიანი, საკუთარ თვითმყოფადობაზე ამაღლებით, ერთ ოჯახად ცხოვრების სიხარულს ჰპოვებს.

ეკლესიის ნათლისაგან განდგომა ქრისტეს ნათლისა და იმ სიხარულისაგან განდგომაა, ძმებთან ერთად მამის კუთვნილ შვილებში რომ სუფევს. მაშ, გვიყვარდეს ჩვენი კათოლიკე ეკლესია, ჩვენი საკრებულო, თუნდაც ესოდენ მცირე, თუნდაც ადამიანთა თვალში ღარიბი და მნიშვნელობას მოკლებული... გვიყვარდეს ჩვენი ეკლესია!

საყვარელნო, ღვთის ტაძარში თაყვანს ვცემთ ჯვარს, – იმედის სახსოვარს, და საკურთხეველს – სიყვარულის სახსოვარს. ეკლესიის კამარა ზეცას კი არ ფარავს ჩვენგან, არამედ მოგვიხმობს, ლოცვით წარმართული ნაყოფიერი დიალოგის მეშვეობით, ჩვენში არსებული ზეცა აღმოვაჩინოთ. ეკლესია ზეცისა და დედამიწის, ღმერთის ხმისა და ადამიანის ღაღადის შეხვედრის ადგილია.

ეკლესია არის იმ წმიდანის ლოცვის ადგილი, რომელიც შიშობს, ცოდვილად არ იქცეს, და იმ ცოდვილის ლოცვის ადგილი, რომელიც ითხოვს წმინდანად გახდომას.

ეკლესია არის ადგილი, სადაც ერთნი მადლობას სწირავენ უფალს ჯანმრთელობის აღდგენისათვის, სხვანი კი დაკარგულ სიყვარულს მისტირიან. ეკლესია ყველასია, ეს არის ადგილი, სადაც თითოეული ადამიანი თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში, რადგანაც ღმერთს ყველა განურჩევლად უყვარს: მდიდრები თუ ღარიბები, ახალგაზრდები და ზრდასრულნი, ღვთისმოსავნი თუ მცირედმორწმუნენი.

ეს ეკლესია-სალოცავი ეძღვნება სავარდის დედუფალს, მარიამს, ღვთის დედას. ის ეძღვნება დედას, რომელიც თავის ძეს მიაწვდენს თითოეულ ჩვენს ლოცვას, მწუხარების თითოეულ შეძახილს, სიხარულით აღსავსე თითოეულ სამადლობელს.

იმედი მაქვს, რომ სალოცავად (განსაკუთრებით სავარდის) და უფლის სადიდებლად მოსული ყოველი ადამიანი აქ ჰპოვებს სიმშვიდეს და სულის ნაყოფიერებას, იგრძნობს თავს მარიამის მკლავებში, იგრძნობს თავს დაცულად ნებისმიერი მტრისაგან და წარმდგარად ღვთის წინაშე.

დღეიდან ამ ეკლესიასთან იარსებებს განდეგილ დედათა მონასტერი. აქ იქნება საკრებულო, რომელიც ლოცვას აქცევს სიცოცხლის მთავარ მიზნად, წმიდა ბენედიქტეს წესის თანახმად. მოდით და მოინახულეთ ეს მონაზვნები, აგრძნობინეთ მათ თქვენი გვერდში დგომა... და იგრძენით აგრეთვე პასუხისმგებლობა მათ ცხოვრებაზე. ბენედიქტელო დებო, თქვენ გეკუთვნით ჩემი და ამ ეკლესიის მადლიერება იმისთვის, რომ თანხმობით უპასუხეთ საქართველოში სამონასტრო საკრებულოს დაარსების თხოვნას.

მინდა, ახალციხის კათოლიკურ საკრებულოს გავუზიარო მთელი ჩემი სიხარული იმის გამო, რომ ბოლოს-დაბოლოს აქვს შესაფერისი ადგილი წმიდა მსახურების აღსასრულებლად. თქვენ ელოდით, სთხოვდით უფალს, ახლა კი იყავით ამ მადლის ღირსნი. ქვები უსულო საგნებია, თქვენ უნდა იყოთ ამ ეკლესიის სულისჩამდგმელნი, თქვენ უნდა იყოთ „ცოცხალი ქვები“. როგორც ეს ეკლესია დგას მთის წვერზე, გამოსაჩენ ადგილას, ასევე გამოსაჩენი უნდა იყოს თქვენი სიყვარული და რწმენა, გულით რომ ატარებთ.

ძვირფასო ძმანო და დანო,

მარიამის, სავარდის დედუფლის შუამდგომლობით, ვითხოვოთ მშვიდობა ჩვენი ერისთვის, მფარველობა ჩვენი ეკლესიისთვის და ძალა, რათა ვიყოთ უფლის ღირსეული მოწაფენი, როგორებიც იყვნენ ჩვენი წინამორბედი წმიდანნი.

მარიამ, წმიდა სავარდის დედუფალო, წმიდაო ბენედიქტე, წმიდაო სქოლასტიკა და წმიდა ფრანცისკე ასიზელო, ილოცეთ ჩვენთვის.

ამენ.

რაბათი! – ტოლერანტობის სიმბოლო, ჩვენი წინაპრების, დიდი მამულიშვილების – მამა მიხეილ თამარაშვილის, მამა ივანე გვარამაძის, მამა პეტრე ხარისჭირაშვილისა და ძმები ზუბალაშვილების მემკვიდრეთა უბანი.

სწორედ ამ უბანში ვცხოვრობდი და აქ გავატარე ჩემი ბავშვობა. ხშირად ვსტუმრობდი კათოლიკური ეკლესიის, ე.წ. „ზედა ეკლესიის„ ნანგრევებს და თვალები ცრემლით მევსებოდა – მახსენდებოდა, რომ ჩემმა მშობლებმა ამ ტაძარში დაიწერეს ჯვარი. რაბათში მცხოვრებ მორწმუნეთა გულებში ყოველთვის იყო წინათგრძნობა უკეთესი მომავლისა, მათ არასოდეს მიუტოვებიათ ეკლესიის ნანგრევები: მიდიოდნენ, ლოცულობდნენ, სანთელს ანთებდნენ საკურთხევლის ქვასთან და ყვავილებით ამკობდნენ. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ოდესღაც ამ ნანგრევებზე ახალი, ლამაზი ტაძარი აშენდებოდა, უფრო მეტიც, ამ მაღალ გორაზე ბენედიქტელი მონაზვნები დაიდებდნენ ბინას.

დაახლოებით ორი წლის წინ, თბილისში ერთ–ერთ შეხვედრაზე, საქართველოში ვატიკანის ყოფილმა ელჩმა, მთავარეპისკოპოსმა კლაუდიო გუჯეროტიმ და ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ, რომელთაც ხშირად ვეკითხებოდი ახალციხეში ეკლესიის აშენების შესახებ, მითხრეს: ახალციხეში კათოლიკური ეკლესიის საკითხი გადაწყდა და ძველი ეკლესია, რომელიც რაბათში მდებარეობს, აღდგებაო.

იმ წუთში წარმოუდგენელი სიხარული განვიცადე, წარმოვიდგინე, თითქოს ყველაფერი წარსულში დარჩა და მრევლთან ერთად განახლებულ ტაძარში ვლოცულობდი.

და მართლაც, ჩვენი ეპისკოპოსის, მამა ჯუზეპეს დაუღალავი შრომის, საქართველოს ყველა კათოლიკური საკრებულოს ლოცვისა და შემონირულობის, დიდი სიძნელეების მიუხედავად, ბოლოსდაბოლოს, 2012 წლის 6 ოქტომბერს საზეიმოდ იკურთხა რაბათის განახლებული ეკლესია და ბენედიქტელი მონაზვნების მონასტერი. ამ დღისთვის უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი: იყვნენ უცხოელი სტუმრები, წარმომადგენლები საქართველოს ყველა კათოლიკური საკრებულოდან, რაიონის ხელმძღვანელები და საზოგადოების წარმომადგენლები.

ტაძრისა და მონასტრის კურთხევის ცერემონიას უძღვებოდა მეუფე ჯუზეპე.

ტაძრის გვერდით აშენდა ბენედიქტელი მონაზვნების მონასტერი, სადაც ამიერიდან ბინას დაიდებენ იტალიელი მონაზვნები და ერთი ქართველი მორჩილი. ამიერიდან ისინი ილოცებენ ჩვენი მრევლისთვის, საქართველოსთვის, ჩვენი ქვეყნის გაერთიანებისა და მშვიდობისთვის.

წმიდა წირვის დასრულების შემდეგ, სტუმრები და მასპინძლები სადღესასწაულო ნადიმზე შეიკრიბნენ, სადაც ერთმანეთს უზიარებდნენ ამ დიდ სიხარულს და მიღებულ შთაბეჭდილებებს. ზეიმი განახლებული რაბათის ციხესთან გამართული გრანდიოზული კონცერტით დასრულდა. ეს დღე დაუვიწყარი იქნება საქართველოს კათოლიკეებისთვის, განსაკუთრებით კი ახალციხის საკრებულოსთვის, რომელიც დიდხანს ელოდა ეკლესიაში წირვის აღვლენას.

ახალციხის წმიდა სავარდის ღვთისმშობლის სახელობის საკრებულოს სახელით, დიდ მადლობას მოვახსენებთ საქართველოში წმიდა საყდრის დესპანს, მეუფე მარეკ სოლჩინსკის, მობრძანებისა და ჩვენი სიხარულის გაზიარებისთვის; განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავთ ჩვენი საყვარელი ეპისკოპოსის, მეუფე ჯუზეპეს, მამა გაბრიელე ბრაგანტინის, მამა ზურაბ კაკაჩიშვილისა და ბატონ გიორგი ცხომელიძის მიმართ იმ დაუღალავი შრომისთვის, რაც მათ გასწიეს ეკლესიისა და მონასტრის მშენებლობისათვის და იმ სიხარულისათვის, რომელიც დღეს მოგვანიჭეს.

მადლობა ყველა კათოლიკური საკრებულოს წარმომადგენლებს, ასევე მათ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ფიზიკური შრომით, შემოწირულობებითა და ლოცვით.

დაე, დღევანდელი დღე გახდეს საქართველოში ახალი ეკლესიების მშენებლობისა და წართმეული ეკლესიების დაბრუნების საწინდარი.

იმედი გვაქვს, რომ ამიერიდან ჩვენი საკრებულო უფრო გაიზრდება და გაძლიერდება, ამის იმედს გვაძლევს ის ფაქტი, რომ ჩვენს ტაძარში უკვე გამოჩნდა ახალი სახეები, რაც დიდად სასიხარულოა.

მადლობა უფალს, ასეთი შესანიშნავი და დაუვიწყარი დღე რომ გვაჩუქა.

ელზა ზუბაშვილი

რაბათის ეკლესიის გახსნა

„...როცა, მრავალი წლის წინ, პირველად გავემგზავრე ახალციხეში რაბათის ეკლესიის ნანგრევების მოსანახულებლად, თავიდანვე მომხიბლა ისტორიამ, რომელსაც დანგრეული ეკლესიის ქვები და მის გარშემო მდებარე სასაფლაოს საფლავები მოგვითხრობდნენ თავისი მდუმარებით; მომხიბლა ქვემოთ გადაშლილი ქალაქის თავზე აღმართული ამ ადგილის დიდებულებამ, რომელიც წარსულში რწმენის მკაფიო ნიშანი და მოხმობა იყო ქალაქის ბინადართათვის.

მაგრამ ყველაფერი მიტოვებული იყო და თითქოს წაგებული ომის, აღიარებული მარცხის ნიშნად გვევლინებოდა...

ახალციხის კათოლიკეთათვის ეკლესიის აშენების ნებართვის მრავალწლიანი ლოდინის შემდეგ, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მართლმადიდებელი ეპისკოპოსის თანხმობის საფუძველზე, საბოლოოდ გადაწყდა ამ ადგილის რესტავრირება. მახსოვს, როგორი სიხარულითა და ენთუზიაზმით შეხვდნენ ამ ამბავს მორწმუნეები ყველა კათოლიკურ საკრებულოში. რაბათი ყველას გულში ედო... ყველაზე ახალგაზრდებიც კი, ვინც, ალბათ, ცოტა თუ იცოდა ამ ადგილის შესახებ, ენთუზიაზმით იყვნენ სავსენი„, – ასე იწყება ამიერკავკასიაში ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორის, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს სამწყსო წერილი, რომელიც ახალციხეში სავარდის დედუფლის სახელობის ეკლესიის აღდგენასა და დედათა მონასტრის გახსნას ეძღვნება.

და აი, დადგა 2012 წლის 6 ოქტომბერი – ახალციხეში რაბათის ეკლესიის გახსნის დღე. ეს იყო დიდი სიხარულის დღე, როდესაც საქართველოს ყველა კათოლიკური საკრებულოს მორწმუნეები ერთად ვზეიმობდით. ამ დღესასწაულს ჩვენთან ერთად აღნიშნავდა მრავალი სტუმარი უცხოეთიდან და საქართველოდან.

ეკლესიის გახსნას, სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად, ესწრებოდნენ: მონსინიორ მარეკ სოლჩინსკი, წმიდა საყდრის დესპანი საქართველოში; სომხური კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი, მთავარეპისკოპოსი რაფაელ მენასიანი; მონსინიორ ბენიამინ ბეთ იადიგარი, ასირო–ქალდეური კათოლიკური ეკლესიიდან; მონსინიორ ფეკეტი, აზერბაიჯანის ეკლესიიდან; კაპუცინთა მთავარი წინამძღვრის წარმომადგენელი, მამა რაფაელი.

▶ 10 ბ.

სიზმარი, რომელმაც დასავლეთი შეცვალა:

კონსტანტინეს ათას შვიდასი წლის წინანდელი რევოლუცია

კონსტანტინე

ქრისტეშობიდან 312 წლის 27 ოქტომბერი იდგა, წინა დღე იმ ღამისა, რომელმაც სრულიად შეცვალა დასავლეთის ისტორია. მილვიოს ხიდის ქვეშ მდ. ტიბრი მიდუდუნებდა და ორ ნაწილად ჰყოფდა მოქიშპე იმპერატორთა ბანაკებს. ერთ მხარეს მაქსენციუსი დაბანაკებულიყო, დიადი და შეუბრალებელი, სხვების თვალის დასანახად აატარ-ჩამოატარებდა თავის არმიას და ძალისა და სიმამაცისკენ მოუწოდებდა; მეორე ბანაკში, კარვის წინ ჩაფიქრებული კონსტანტინე იდგა; მისი ლეგიონერები ბანაკებში დაქსასულიყვნენ და საბრძოლო იარაღს ამზადებდნენ. კონსტანტინე ცას მიშტერებოდა, რომელიც კაშკაშა ოქროსფრად ქცეულიყო. უცაბედად, ამ ოქროს ფონზე ჯვარი გამოისახა, ჯვარზე კი ცეცხლის ასოებით ეწერა: **„ამ ნიშნით გაიმარჯვებ!“** ახალგაზრდა იმპერატორი შებარბაცდა, სახტად დარჩენილმა, ხელები გაშალა. როცა ჯვარი გაქრა, მან სახე ხელებში ჩარგო და ქრისტიანი დედის გვერდით გატარებული მთელი თავისი სიყრმე მოაგონდა; გაახსენდა ისიც, რომ ლეგიონერები, ყველანი, ქრისტიანები იყვნენ ფარულად. კონსტანტინე შეძრა ყოველივე ამან და ბრძანება გასცა, ჯარი შეეკრიბათ; როდესაც თავისი გულადი ჯარისკაცები დაინახა, განუცხადა მათ, რომ მომდევნო დღეს, ბრძოლის დაწყებისას, რომაული არწივის გვერდით, აფრიალდებოდა ალამი ჯვრის გამოსახულებით. ლეგიონერთა რიგებს გაკვირვების ტალღამ გადაუარა, სულ ცოტა ხანში კი მხიარული ყიჟინი გაისმა. მომდევნო დღეს, განთიადისას, მილვიოს ხიდის ნაპირზე, აქეთ-იქით ორი არმია ერთმანეთის პირისპირ იდგა. ფრიალებდა კონსტანტინეს ჯარის საბრძოლო ალმები, ჯვრის გამოსახულებით. წმიდა ნიშანმა იმხელა ენერგია შემატა მებრძოლებს, რომ *მაქსენციუსის* ჯარს ელვისებურად შეუტიეს ხიდიდან, უკან დაახევინეს და განდევნეს. ხოლო კონსტანტინემ, ჯვრის ნიშნის ქვეშ, გამარჯვება მოიპოვა. მან, გამარჯვების შეძახილებით, როგორც ტრიუმფატორმა, შეაბიჯა რომში, სადაც მას კოლიზეუმის გვერდით დიდი თაღი აუგეს, რომელიც დღესაც ხიბლავს მნახველებს.

ჯერ კიდევ უცნობია, ეს ამბავი რეალობაა, თუ ლეგენდა; ფაქტია, რომ მკვლევრები ამ საკითხს სერიოზულად ეკიდებიან და ზოგიერთი მათგანი თავის კვლევებს ასტრონომიაზე აფუძნებს, რითაც შეიძლება აიხსნას ცნობილი ხილვა თუ სიზმარი. მოდით, შევეცადოთ გავაცოცხლოთ 312 წლის 27 ოქტომბერის ღამე.

ლაკტანციუსის (250-327) მიხედვით, ხილვა შეიძლება სიზმრად ყოფილიყო, მაგრამ *ევსები კესარიელი* (250-327) წერს, რომ განათებული ჯვარი შუადღის ცაზე გამოჩნდა და იგი ყველა ჯარისკაცმა იხილა. ჯვარზე იკითხებოდა წარწერა: «*Ev Τουτω Νικα* », რასაც მოგვიანებით ისტორიკოსი *რუფინუსი* (დაახლ. 345-411წ.) ასე თარგმნის „*Hoc signo victor eris*», უფრო გვიანდელი თარგმანი ამ ცნობილი ფრაზით შეიცვალა: «*In hoc signo vinces*», ანუ **„ამ ნიშნით გაიმარჯვებ“**. მეცნიერები ერთსულოვნად თანხმდებიან შემდეგზე: კონსტანტინემ, ხილვის შემდეგ, ჯარისკაცებს აბჯარზე ამოაკვეთინა ბერძნული ასო „chi“, ანუ ქრისტიანთა ღმერთის სიმბოლო. რენესანსიდან მოყოლებული, ეს ეპიზოდი ქრისტიანული იკონოგრაფიის საყვარელ თემად იქცა; გავიხსენოთ შესანიშნავი იტალიელი მხატვრის, ადრეული რენესანსის წარმომადგენლის, პიერო დელა ფრანჩესკას (1415-1492) შედევრი – „ლეგენდა ჭეშმარიტ ჯვარზე“ ქ. არეცოს ტაძარში.

კონსტანტინეს ხილვა

ამ ფაქტზე საუბარია მხოლოდ ეპისკოპოს *ევსები კესარიელის* ნაშრომში „კონსტანტინეს ცხოვრება“ (1-25-30), იგი მჭიდროდ თანამშრომლობდა კონსტანტინესთან 325 წლიდან. თავად გარკვეულ სკეპტიციზმს ამჟღავნებს და აცხადებს, რომ ამისი იმიტომ სჯერა, რომ თავად იმპერატორმა გაანდო იგი ფიცის ქვეშ. *ევსების* ნაშრომის მიხედვით, – რომელიც იმპერატორის სიკვდილიდან მოკლე ხანში დაიწერა, – კონსტანტინე I მონოთეიზმისკენ იხრებოდა, როდესაც ჯერ კიდევ რომში *მაქსენციუსის* წინააღმდეგ გაილაშქრა. ღვთაების მიმართ შუადღით აღვლენილი ლოცვისას, ის და მისი

ჯარი მოწმე გახდა ზეციური სასწაულისა: გამოცხადება მზის სინათლის კვეთაზე, წარწერით „*Ev Τουτω Νικα*“. ღამით კი მას, სავარაუდოდ, ქრისტე ეჩვენა, რომელმაც უბრძანა, რომ საბრძოლო ალამი ზეციური ხილვის მიხედვით შეექმნა. მომდევნო დღეებში კონსტანტინემ თავისთან მოიხმო ქრისტიანი მღვდლები, რათა გაცნობოდა რელიგიას, რომლის არსი მისთვის ჯერ კიდევ უცხო უყო. ამასთანავე, კონსტანტინემ თავის ჯარს წინ წარუმძღვარა საიმპერიო ნიშანი, X ს-ის ქრისტიანული სიმბოლიკით P(rho), რასაც ქრისტეს მონოგრამასაც უწოდებენ; მონოგრამა შედგება ასოებისგან XP (პირველი ორი ასო ბერძნული სიტყვიდან ΧΡΙΣΤΟΣ, ანუ *ქრისტე*). ამ სიმბოლიკის ქვეშ ჯარისკაცებმა მტერი საბოლოოდ გაანადგურეს.

კონსტანტინეს გამარჯვება მაქსენციუსზე *ევსების* მიერ კიდევ ერთ ნაწარმოებშია აღწერილი: „*Storia Ecclesiastica*“ – „ეკლესიის ისტორია“, რომელიც ამ ფაქტებიდან სულ მალე დაიწერა (მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი მომდევნო ათწლეულში დასრულდა კიდევ ერთი წიგნით), მაშინ როცა *ევსები* ჯერ კიდევ არ იცნობდა კონსტანტინეს. ამ ნაშრომში არანაირი სასწაული არაა აღწერილი. ევსები მაქსენციუსის ცუდ იღბალს, რომელიც მის მიერვე აგებული მილვიოს ხიდის ნანგრევებში მოყვა, ადარებს ფარაონის ბედს, რომელიც ეგვიპტიდან ებრაელი ხალხის გამოსვლის დროს დაიხრჩო და კონსტანტინეს გამარჯვებას უზენაესის მფარველობის ძალას მიაწერს.

ამ მოვლენას ეხმიანება ქრისტიანი მწერალი *ლაკტანციუსი* (250-327), კონსტანტინეს შვილების მოძღვარი, *De mortibus persecutorum (Sulla morte dei Persecutori, მდევნელთა სიკვდილზე, 44, 3-5)*, ეს ნაწარმოებიც მომხდარი ფაქტიდან მოკლე ხანში დაიწერა. იგი არაფერს ამბობს სასწაულებრივ ხილვაზე, მაგრამ აცხადებს, რომ ბრძოლის წინა ღამით კონსტანტინემ სიზმრად მიიღო ბრძანება, რომ საკუთარი ჯარისკაცების საბრძოლო იარაღზე ზეციური ღვთაებრივი ნიშანი ამოეკვეთა. დაუდგენელია, ვინ მისცა მას ეს ბრძანება და რა იყო ეს სიმბოლო. კონსტანტინეს მიერ გმოყენებული კონკრეტული ნიშანი არცთუ ნათლად არის აღწერილი *ლაკტანციუსის* მიერ: ეს ეხებოდა არა Chi-rho-ს, არამედ *სტაუროგრამას* (staurogramma), სიმბოლოს, რომელიც ასევე ქრისტიანულად შეიძლება იყოს ახსნილი.

რუბენსი – კონსტანტინეს ხილვა

როგორც ვხედავთ, სახეზეა ორი განსხვავებული ვერსია: პირველის მიხედვით, ესაა ხილვა დღისით, მეორე ვერსიაში კი მხოლოდ სიზმარი. ორივე ვერსიაში არის ის ნიშანი, რომელიც კონსტანტინემ თავისი ლეგიონერების აბჯრებზე ამოაკვეთინა. არსებობს ასევე მოვლენათა წარმართული ინტერპრეტაცია, რის მიხედვითაც კონსტანტინემ ნახა სიზმარი, ან ჰქონდა ხილვა „დიდი ლიონის“ ახლოს, აპოლონის ტაძრის მონახულებისას. კონსტანტინემ დაინახა სამი X, ან დაფნის სამი გვირგვინი, რომელიც გამარჯვების ოცდაათწლიან პერიოდს მოასწავებდა. აღსანიშნავია, რომ *აპოლონი* იყო ღმერთი, რომელსაც იმპერატორი *ოქტავიუსი* მიაწერს აციოს (31 ჩვ.წ-მდე) გამარჯვებას. პანეგირიკი, ანუ სახოტბო სიტყვა წაკითხულ იქნა ტრევირში 310 წელს, მასში აღწერილია ხილვა, რომელიც სავარაუდოდ 309 წელს, ან მანამდე უნდა მომხდარიყო, რამდენადაც კონსტანტინესეული მონეტის გამოშვება, რომელიც მიეძღვნა უძლეველ მზეს, სწორედ იმ წელს დაიწყო, რაც ყოველივე ამას ადასტურებს. პროგნოზი, რომელიც ზუსტად მოასწავებდა მის ბატონობას (კონსტანტინეს მმართველობა, რომელიც არასოდეს დამარცხებულა ბრძოლებში, ზუსტად ოცდაათ წელს და ცოტა მეტხანს გრძელდებოდა), გვაფიქრებინებს, რომ საუბარია წინასწარმეტყველებაზე *post faqtum.* ანუ ესეც კონსტანტინეს ცხოვრების პარალელურად უნდა განვიხილოთ.

სასწაულებრივი მოვლენისა და სხვადასხვა, ურთიერთსაპირისპირო ვერსიების ფონზე, გარკვეული დასკვნები იკვეთება. ზოგმა ერთმანეთს შეუთავსა ევსებისა და ლაკტენციუსის ვერსიები და ამგვარად დაუდო სათავე ტრადიციულ ვერსიას, რომელიც ყველაზე მეტად არის გავრცელებული იკონოგრაფიაში, სადაც ზეციური ხილვა ბრძოლის წინადღეს განიხილება. სხვები კი ვარაუდობენ, რომ „კონსტანტინეს ცხოვრება“ არ არის ევსების ნაწარმოები, ან სულაც საეკლესიო ტრადიციით იქნა შემუშავებული. ზოგიერთები კი კამათობენ იმაზე, ქრისტიანული კონცეფცია წარმართულიდან ხომ არ იქნა გადმოღებული, ან პირიქით.

ასტრონომიული ინტერპრეტაცია

წლების მანძილზე მეცნიერები იკვლევდნენ ასტრონომიულ ფენომენებსა და კონსტანტინეს ხილვის „ზეციურ ნიშანს“ შორის სავარაუდო კავშირებს. *ფილოსტორგიუსი (Filostorgio-* 368-439) გვთავაზობს „ზეციური ნიშნის “ ასტრონომიულ ინტერპრეტაციას, ხოლო უახლესი დროის მეცნიერი ფრიც ჰეილანდი, იენას პლანეტარიუმიდან (გერმანია), 1948 წელს, ახდენს კონსტანტინეს ხილვის ინტერპრეტაციას და მას განიხილავს, როგორც პლანეტების თანხვედრის შედეგს. 312 წლის შემოდგომაზე, სამი მანათობელი პლანეტა: მარსი, სატურნი და იუპიტერი თხის რქასა და მშვილდოსნის ზოდიაქოს შორის განლაგდნენ. ასტრალური თანხვედრა ჯარისთვის შეიძლება ავბედითი ნიშანიც კი ყოფილიყო, და კონსტანტინემ ეს ქრისტიანული ლეგენდა გამოიგონა, როგორც გამარჯვების ზეციური საწინდარი. ზეციური სანახაობა, რისი მომსწრეც კონსტანტინე და მისი ჯარიც გახდა, შეიძლება კომპიუტერული გრაფიკით გამოისახოს. მზის ჩასვლისას (აისი და დაისი, რომაელი ასტროლოგების მიხედვით, ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო), ზენიტში დიდებული ფორმით გამოჩნდა გედის ჯვარი *{ვარსკვლავი ჰგავს სწორედ იმ* ***სტაუროგრამას,*** *ანუ მონოგრამას, რომელიც შედგება ორი ბერძნული ასომთავრულისგან: tau (T) და rho (P)}*. სწორედ მის ქვეშ მდებარეობს არწივის თანავასრკვლავედი (რომის და მისი არმიის სიმბოლო). უფრო ქვემოთ კი, თხის რქის თანავარსკვლავედთან, ზეცის ყველაზე ბნელი ადგილია და აქ იყო განლაგებული უმთავრესი პლანეტები: ვენერა, იუპიტერი, სატურნი, მარსი, რომლებიც ასევე ძირითადი წარმართული ღვთაებებია. მზის ჩასვლიდან სულ ცოტა ხანში (მზეც ერთ-ერთი წარმართული ღვთაებაა), პლანეტების ჩასვენებაც ხდება. ეს სანახაობა მართლაც უნიკალური და სიმბოლურია, მისი ინტერპრეტაციის დროს, პლანეტებს სავარაუდოდ დაუკავშირდა ერთი ასო (სულ ოთხი პლანეტა, როგორც სიტყვები *in hoc signo vinces,* ან როგორც ბერძნული სიტყვა *nikà).* აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ ევსები კესარიელის მიერ გადმოცემული ეპიზოდის სიტყვასიტყვითი თარგმანი ბერძნულიდან ლათინურად არის *in hoc vinces,* ანუ შედგება არა ოთხი, არამედ სამი სიტყვისგან, რაც ზემოხსენებულ ვარაუდს ნაკლებად მისაღებს ხდის.

უახლესი კვლევები ახალ ინტერპრეტაციას გვაწვდის იმ გავლენაზე, რაც პლანეტების ასტრონომიულმა წესრიგმა მოახდინა კონსტანტინეზე. ფაქტობრივად, მნათობთა ასეთი განლაგება, მათი ასეთი ერთობლიობა, უკიდურესად იშვიათია ასტრონომიული თვალსაზრისით (ოთხიათას წელიწადში ოთხჯერ შეიძლება მოხდეს ეს) და ასტროლოგიური მნიშვნელობით არის დატვირთული (ანუ ძალაუფლების ძველი სისტემის „ჩასვენება“ და ახლის აღმოცენება), რაც დაგვაფიქრებს ამ ასტრალური სურათისა და გედის თანავარსკვლავედის ღრმა მნიშვნელობაზე, როდესაც ხდება „სავარაუდო ხილვის“ დეტერმინაცია, რომელიც შეიძლება სწორედ ამ მიზეზით ჩაითვალოს არა მისტიკურ-ჰალუცინაციურ მოვლენად, არამედ ზეციური ნიშნის რაციონალურად ინტერპრეტირებად რეალობად, რომლის ისტორიაც ინახავს მცირე, მაგრამ უმნიშვნელოვანეს კვალს: არქიტექტურაში (მალბორგეტოს თაღი და წმიდა იოანეს ბატისტერიუმი ნეაპოლში), მხატვრობაში (პიერო დელა ფრანჩესკას ტილო „კონსტანტინეს სიზმარი“ არეცოში) და ნუმიზმატიკაში (ვარსკვლავის გამოყენება, რომლის პრეცედენტიც არ ყოფილა).

გასული საუკუნის უკანასკნელ წლებში, შვედი გეოლოგი იენს ორმო და მისი კოლეგები პესკარას უნივერსიტეტიდან გამოთქვამდნენ ვარაუდს, რომ კონსტანტინე და მისი ჯარი შესაძლოა თვითმხილველნი ყოფილიყვნენ დიდი მეტეორიტის ჩამოვარდნისა. დედამიწის ატმოსფეროს გადაკვეთას შეიძლება გამოეწვია თვალისათვის საჩინო მანათობელი ეფექტი დღის გულზე. დედამიწის ზედაპირზე მისმა შეხებამ განაპირობა სირენტეს კრატერის წარმოქმნა (cratere del Sirente), რომელიც მდებარეობს აბრუცოში, ველინო სირენტეს რეგიონალურ ნაკრძალში.

ლეგენდის „მზისებრი“ ინტერპრეტაცია

ზოგიერთი ისტორიკოსის მიხედვით, კონსტანტინეს სიზმარს საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ იმ ხანებში რომაულ არმიაში ძალზე გავრცელებული იყო აღმოსავლური ღმერთის, მითრას (Mithra) მზის კულტი, რომელიც სინკრეტულად იგივდება დაუმარცხებელ მზესთან „Sol invuctus“. ვისაც იგი სწამდა, მის სიმბოლიკას აბჯარზე გამოსახავდა (გამოიხატებოდა გადაბრუნებული ჯვრის ფორმით X, ცენტრში წრით).

ამრიგად, ლეგენდა კონსტანტინეს ხილვის შესახებ, ისტორიული თვალსაზირისით, წარმართული ხასიათის ლეგენდის ტრანსფორმაციად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც ცაზე გამოჩენილ ნიშანს მიაწერდა არა იესოს, არამედ უშუალოდ უძლეველ მზეს, რასაც ჯარისკაცთა ნაწილი ეთაყვანებოდა; ნიშანი, რომელიც კონსტანტინეს გამარჯვებას აუწყებდა და ითხოვდა მისგან იმის გაკეთებას, რასაც ჯარისკაცები თავისთავად უკვე აკეთებდნენ, ანუ სიმბოლოს გამოისახავდნენ თავიანთ აბჯარზე. ლეგენდის ორი ვერსიიდან ერთ-ერთში, ანუ ევსების ვერსიაში, დაკონკრეტებულია, რომ ეს სიმბოლო კონსტანტინეს

სწორედ კაშკაშა მზის გულზე ეჩვენა. ფაქტი ერთია, კონსტანტინეს სიკვდილის შემდეგ, რომლის ჭეშმარიტ მოქცევას ქრისტიანობაზე ეჭვქვეშ აყენებს ზოგიერთი მეცნიერი, ლეგენდა „გაქრისტიანდა“ და იგი ტრიუმფალური და ახალი რელიგიის სიმბოლოებით დაიტვირთა.

მოვლენის არქეოლოგიური მოწმობანი

ამ ფაქტის ირგვლივ სხვადასხვაგვარი მოწმობანი არსებობს და ყველა მიანიშნებს ერთზე: ადგილი ჰქონდა დიდ მოვლენას. უწინარესად აღსანიშნავია მალბორგეტის დაბა, რომელიც მდებარეობს საქსა რუბრაში (Saxa Rubra), სადაც დაბანაკდა კონსტანტინე და სადაც მოხდა ეს ხილვა; ამ ადგილზე აიგო ამ მოვლენის მოსაგონარი უძლეველი თაღი, რომელიც სწორედ კონსტანტინესეული ეპოქით თარიღდება. ამასთანავე, სიმბოლო chi-rho კონსტანტინეს მონეტებზე და ნეაპოლში, წმიდა იოანეს ბატისტერიუმში აღმოაჩინეს, სავარაუდოდ, ესეც კონსტანტინეს ეპოქას მიეკუთვნება.

ბრძოლა მილვიოს ხიდზე

ბრძოლა მილვიოს ხიდზე კონსტანტინესა და მაქსენციუსს შორის გაიმართა 312 წლის 28 ოქტომბერს. კონსტანტინეს გამარჯვებამ მთელ იმპერიაში დასაბამი დაუდო ახალ ერას. ამ ბრძოლამ წერტილი დაუსვა მაქსენციუსის მმართველობას, ტეტრარქიის სისტემას, რასაც ასე ეწინააღმდეგებოდა კონსტანტინე. 306 წლის 28 ოქტომბერს მან დანიშნა *princeps*-ი (პირველი, - ძველ რომში პირი, რომელიც პირველ ნომრად იყო სენატორთა სიაში), და თავის კონტროლს დაუქვემდებარა იტალია და აფრიკა.

წინარე მოვლენები

ოთხი იმპერატორი: ორი ავგუსტუსი, ერთი აღმოსავლეთში და ერთიც დასავლეთში, და ორი კეისარი, მათი ხელქვეითები, რომელთა ხვედრი ათი წლის შემდეგ მათივე მემკვიდრეობა იქნება: თითოეული ზუსტად განსაზღვრულ ტერიტორიაზე იმეფებს. იმპერიაში სტაბილურობის შესანარჩუნებლად ამგვარი კომპლექსური ინჟინერია იმპერატორმა დიოკლეტიანემ შეიმუშავა (244-311), რომელიც მეფობდა 285-305 წლებში. ამ ამბიციური სისტემის შექმნა მცდელობა იყო იმისა, რომ უზრუნველეყოთ შემდგომი მემკვიდრეობითობა. საკუთარი მოვალეობისადმი ერთგულების დასამოწმებლად, დიოკლეტიანემ 305 წელს უარი თქვა ტახტზე და იგივეს მოითხოვდა თავისი თანა-იმპერატორისაგან. მან ძალაუფლება გადასცა გალერიუსს აღმოსავლეთში, და კონსტანციუსს – დასავლეთში. მათ, შესაბამისად, გვერდით დაუყენეს ორი კეისარი – მაქსიმიანი და სევერუსი. მაგრამ სულ რაღაც ერთ წელიწადში სისტემამ კრიზისი განიცადა. კონსტანციუსის ნაადრევმა სიკვდილმა გზა გაუხსნა სევერუსის, მაგრამ ლეგიონერები მემკვიდრედ კონსტანციუსის შვილს – კონსტანტინეს ასახელებდნენ. კონსტანტინე რომის ერთ-ერთი უდავოდ გამორჩეული იმპერატორი იყო. იგი 274 წელს დაიბადა ნაისუში (*Naissus*), დღევანდელი ქ. ნისი (სერბეთი), ფიზიკურად ის ახოვანი და მრავალმხრივი ნიჭით გამორჩეული იყო. მას ღრმად სწამდა, რომ ისტორიაში თავისი ღვთაებრივობის ნიშანს დატოვებდა, საკუთარ წარმატებაში ეჭვი არასოდეს შეპარვია, ამას მოწმობს მაქსენციუსის წინააღმდეგ მისი სამხედრო კამპანიები და ბრძოლა მილვიოს ხიდთან. როგორც კონსტანტინეს შემთხვევაში, რომშიც დინასტიის პრინციპი შემოიღეს, მხარი დაუჭირეს მასიმიანეს ძის – მაქსენციუსის ტახტზე ასვლას. დასნეულებული დიოკლეტიანე დალმაციაში განმარტოვდა. 311 წელს მისმა სიკვდილმა ლიცინიუსს იმედი ჩაუსახა, რომელიც, გალერიუსის სიკვდილის შემდეგ, აღმოსავლეთის ავგუსტუსად დასახელდა (ესეც 311 წელს მოხდა). ძალაუფლება შემდეგნაირად გადანაწილდა: ლიცინიუსს ილირია ერგო; მაქსიმიანის – აღმოსავლეთ იმპერიის დანარჩენი ნაწილი; კონსტანტინეს – გაია; მაქსენციუსს კი – იტალია და აფრიკა. ისტორიამ არ შემოგვინახა მაქსენციუსის შესახებ ვრცელი ცნობები, მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი 278 წელს დაიბადა და მისი ხელმწიფობის ექვსი წელი გამოირჩეოდა რომის დიდი რეკონსტრუქციით, მისთვის არსებითი იყო, ქალაქისათვის დაებრუნებინა ცენტრალური ადგილი იმპერიაში. პროექტი ყველაზე კონსერვატორულმა ფრთამ და პრეტორიუმის გვარდიამ გაიზიარა, თუმცა მის განხორციელებას დიდი დრო არ ეწერა, რადგანაც რომაული იმპერიის სტრატეგიული დინამიკა უკვე სხვა დედაქალაქებს მოიაზრებდა: ტრევირი, მილანი, ნიკომედია და ანტიოქია. მაქსენციუსი ამ სცენარში ყველაზე უარყოფითად განიხილებოდა, და მის წინააღმდეგ დანარჩენი სამი (ლიცინიუსი, მაქსიმიანი და კონსტანტინე) გაერთიანდა; ამგვარად, კონსტანტინე მოიაზრებოდა დაკავებული ტერიტორიების ხელახალი დაბრუნების ინიციატორად. იმპერიის დედაქალაქი უკვე რომი აღარ იყო, თუმცა მას შეუნარჩუნდა თავისი სიმბოლური ფუნქცია.

არმია ბრძოლის ველზე

მაქსენციუსმა ყველაფერი იღონა, – კორუპციულ გარიგებებსაც კი მიმართა, – რომ იტალიაში შეეკრიბა არმია, რომელიც არ პასუხობდა საომარ მოთხოვნებს და რომლის შესანახადაც არ კმაროდა ტერიტორიის ეკონომიკური რესურსები: თითქმის 190.000 ჯარისკაცი, მათ შორის, 10.000 პრეტორი; მართალია, ისინი არ წარმოადგენდნენ რომაული ჯარის ნაღებს, თუმცა პატივისცემას იმსახურებდნენ, განსაკუთრებით იმ მარტივი ფორმის გამო, რითაც იმპერატორები მათ მანევრირებას ახდენდნენ. არმიის დისლოკაციის ადგილი უმთავრესად ჩრდილოეთ იტალია იყო, მათი მესამედი რომის გარნიზონში, ავრელიუსის შეუვალი გალავნის შიგნით იყო განლაგებული.

კონსტანტინეს უფრო მცირერიცხოვანი არმია ჰყავდა, 100.000 კაცზე ნაკლები, ამათგან ბრძოლის ველზე მან მხოლოდ მეოთხედი გამოიყვანა: მის კომპეტენციაში შემავალი პროვინციები ყველაზე ტურბულენტული იყო, განსაკუთრებით იქ, სადაც იმპერია „ბარბაროსთა“ ტერიტორიას ემიჯნებოდა. აქედან ჯარის გამოყვანა ნიშნავდა, გზა გაეხსნათ დამპყრობლებისთვის, რის გამოც კონსტანტინემ გარნიზონებში დატოვა ჯარის ის ნაწილი, რომელსაც საზღვრის დაცვა ევალებოდა, თავად კი მხოლოდ რჩეული ნაწილი წაიყვანა. ზოსიმეს მიხედვით, კონსტანტინემ დიდი არმია შეკრიბა (90.000 ქვეითი ჯარისკაცი და 8.000 – ცხენოსანი), რომელიც შედგებოდა ომის დროს დატყვევებული ბარბაროსებისგან: გერმანიკული, კელტური და ბრიტანული წარმოშობის ხალხისაგან.

მაქსენციუსის არმიაში 170.000 ქვეითი და 18.000 ცხენოსანი იყო (მათ შორის: 80.000 რომაელები, იტალიკები, ტირენები, 40.000 აფრიკელი). ლათინური პანეგირიკების (*Panegyrici latini*) მიხედვით, კონსტანტინეს 40.000 კაცისგან შემდგარი შეიარაღებული არმია ჰყავდა, ხოლო მაქსენციუსს – 100.000-იანი.

კონსტანტინე მყარად იყო დარწმუნებული თავის გამარჯვებაში და ამ რწმენას თავის ჯარისკაცებსაც გადასცემდა: ისინი ხომ მრავალი ბრძოლის დროს უდგნენ გვერდში ამ ადამიანს, რომელიც თავად აირჩიეს საიმპერიო კარზე და რომელიც ამჯერად, 312 წლის გაზაფხულზე, ერთ-ერთი ძლიერი სამხედრო ბრძოლისაკენ მიუძღვოდა მათ, ბრძოლისკენ, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში თავის ღრმა კვალს დატოვებდა. საომარი მოქმედება თავდაპირველად კონსტანტინეს სასარგებლოდ ვითარდებოდა. ერთმანეთის მიყოლებით მარცხდებოდა მაქსენციუსის არმიის ნაწილები. კონსტანტინე აშკარად გამოირჩეოდა თავისი ლმობიერებით დაპყრობილი ქალაქების მიმართ, ხოლო მისი ჯარისკაცები ძლიერი დისციპლინით; თავიანთი მეთაურის ბრძანებით, ისინი უარს ამბობდნენ ქალაქების ძარცვა-გლეჯაზე. თითქოსდა კონსტანტინეს წინ არანაირი საფრთხე არ ელოდა. მაგრამ ყველაზე დიდი განსაცდელი ახლა იწყებოდა. შემოდგომაზე, დიდი გამარჯვებებისა და მაქსენციუსის პრეტორიის პრეფექტის ტყვედ აყვანის შემდეგ, მაშინ, როდესაც ომისათვის ხელსაყრელი წელიწადის დრო იწურებოდა და არც რომი გახლდათ ადვილად ასაღები ქალაქი, მით უფრო ასე მცირერიცხოვანი ჯარისათვის, კონსტანტინე რომის ჩრდილო ნაწილში დაბანაკდა, ფლამინიას ქუჩაზე, მალბორგეტოს უბანში, ქალაქის კარიბჭიდან 15 კმ-ში. მან არმია განალაგა ქუჩის ჩიხში და იძულებული იყო, დალოდებოდა მტერს და ალყაზე ფიქრიც არ ასვენებდა. ყველაფერი იმას მოასწავებდა, რომ მაქსენციუსის ჯარი ავრელიუსის გალავნის შიგნით იქნებოდა მოქცეული და ასე იბრძოლებდა საბოლოო გამარჯვებამდე.

ამ უკანასკნელს მერყეობა ეტყობოდა, მაგიურ რიტუალებს ასრულებდა და ცდილობდა, საკუთარი ბედისწერა შეეცვალა. მან უსაფრთხოების ღონისძიებად მიიჩნია მილვიოს ხიდის ჩაკეტვა, რათა კონსტანტინესათვის ჩაეშალა ჩრდილო ნაწილის ალყაში მოქცევის გეგმა. დრო მის სასარგებლოდ მოქმედებდა, თუმცა ცუდი ნიშნებიც ჩანდა: როდემდე გაუძლებდა რომის მოსახლეობა ალყას? როდემდე გასტანდა ნდობა ჯარისადმი? ამ ჯარის მეთაური იყო იგი, თუ მძევალი?

საომარი მოქმედება

მაქსენციუსმა, რომელმაც მარჯვედ გამოიყენა თავისი ცოდნა, ყოველგვარი საომარი სტრატეგიის ელემენტარული ნორმების დაურღვევლად, მოულოდნელი სვლა გააკეთა: 28 ოქტომბერს, როდესაც 6 წელი სრულდებოდა მისი იმპერატორად დანიშვნიდან, მილვიოს ხიდის მიდამოებში ნავები განალაგა და ბრძანება გასცა, ჯარს ტევრი გადაეცურა და ბრძოლაში გამოეწვია კონსტანტინე.

თანამედროვეთა აზრით, თავად ღმერთმა „ჯაჭვით“ მიიზიდა ტირანი რომის გალავანს გარეთ, სხვაგვარი ახსნა ასეთ მოქმედებას არ მოეძებნება; ღმერთმა კონსტანტინეს ბრძოლის დაწყებამდე ერთი დღე მისცა, თავისი მფარველობა აღუთქვა და ამის დასტურად სიმბოლური ნიშანიც მოუვლინა: ბერძნული ასოები – X და P, საომარ ალმებსა და ჯარისკაცების აბჯრებზე რომ გამოესახა. მაქსენციუსის არმიამ ნელ-ნელა გადაცურა მდინარე და, შეტევის მოლოდინში, საპირისპირო ნაპირზე განლაგდა. კონსტანტინეს უკვე შეეტყო მაქსენციუსის მზაკვრული გეგმის შესახებ. მისმა ცხენოსანთა არმიამ ქვეით ჯარს შეუტია ცენტრში. თავად კონსტანტინე პირველ ხაზზე იდგა საკუთარი კავალერიით: ეს დიდი საფრთხე იყო, ვინაიდან, როდესაც მაქსენციუსის კავალერიამ უკან დაიხია, კოლაფსი განიცადა ქვეითმა ჯარმაც, ჯარისკაცები დაბნეული გარბოდნენ. პირველი თავად მაქსენციუსი გაიქცა და მდინარეში გადაეშვა, საომარი აბჯრის სიმძიმემ კი უცებ ჩაძირა, მისი ხვედრი ბევრმა გაიზიარა: ნავების ხიდმა გაქცეულთა სიმძიმეს ვერ გაუძლო და ჩაინგრა. პრეტორებსაც იგივე ბედი

ერგოთ, ისინი ერთიანად გაანადგურეს. მაქსენციუსის გვამი მოძებნეს და საზეიმო პროცესიით შეიტანეს რომში კონსტანტინეს გამარჯვებულმა ჯარისკაცებმა.

საბოლოო შედეგები

ასე დასრულდა ისტორიაში ერთ-ერთი ძლიერი ბრძოლა. კონსტანტინე ტრიუმფით მიიღეს რომში და იგი დასავლეთის ერთადერთ იმპერატორად გამოაცხადეს. თავისი გამარჯვება მან ქრისტიანთა ღმერთს მიუძღვა, რომლის დევნაც მთელ იმპერიაში აკრძალა და გააგრძელა 306 წლიდან გალიასა და ბრეტანიაში დაწყებული პრაქტიკა. კონსტანტინეს ამ ომის შემდეგ კიდევ 12 წელს მოუწევს ლოდინი, რომ სრული კონტროლის უფლება მოიპოვოს იმპერიაზე. იმპერიის გაქრისტიანების მის გეგმას ძლიერი ბაზისი გააჩნდა და ამ გეგმით წარიმართა ევროპის გაქრისტიანებაც, სადაც პირველი ქვა სწორედ მილვიოს ხიდზე გამართული ბრძოლის დროს ჩაიდო.

დასკვნა:

დიდძალი მელანი დაიხარჯა – ევსებიდან ჩვენს დღეებამდე – ამ ისტორიული ეპიზოდის აღსაწერად, რაც სინამდვილეში გაცილებით რთული გახლდათ, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. აუცილებელია კონსტანტინეს ცხოვრების შესწავლა; ლეგენდიდან გამომდინარე, რაც მის შესახებ გავრცელდა, ხშირად გვიჭირს იმ ფაქტების ერთობლიობაში მოყვანა, რასაც იმდროინდელი ეპოქა ამოწმებს ჩვენთვის არცთუ კარგად ცნობილი იმპერატორის საომარ სტრატეგიაზე, და რაც ისტორიამ და მწირმა აგიოგრაფიულმა ცნობებმა შემოგვინახა. ისტორია არ მალავს კონსტანტინეს ფიგურის ყველაზე საშინელ ასპექტებს და მისი დედის, ელენეს – არაჩვეულებრივი იმპერატრიცასა და წმიდანის – აგიოგრაფიის წყალობით, ამ ფაქტებს ქრისტიანულ მოწოდებას უთავსებს, რასთანაც ალბათ უპრიანია გარკვეული დისტანციის დაჭერა, მიუხედავად იმისა, რომ ევსები კესარიელის მიხედვით, სიკვდილის წუთებში კონსტანტინემ ნათლობაც კი ითხოვა. რამდენ რამეზე გვმართებს დაფიქრება! ე.წ. „კონსტანტინესეული გადატრიალების“ თანმდევი შედეგები

ელენე და კონსტანტინე

ჯერ კიდევ უამრავ საინტერესო კითხვას ბადებს. სახელმწიფო და რელიგია, რელიგიური თავისუფლების იდეა რომის იმპერიაში; აქვე გავიხსენოთ 313 წლის მილანის ცნობილი ედიქტი, რომლის ტექსტი ყოველი ეპოქის პოლიტიკისათვის სამოქმედო პროგრამად რჩება: *„ჩვენ, კონსტანტინე ავგუსტუსი და ლიციუს ავგუსტუსი, მოხარულები ვართ, ერთმანეთს შევხვდეთ მილანში და ვიკამათოთ ყველაფერზე, რაც შეეხება საზოგადო კეთილდღეობასა და უსაფრთხოებას და, ჩვენის აზრით, სწორედ ეს არის მოსახლეობისათვის სასიკეთო, განსაკუთრებით, მოვაწესრიგოთ საღვთო კულტთან დაკავშირებული საკითხები და თავისუფალი რწმენის უფლება მივანიჭოთ ქრისტიანებს, როგორც ყველას, რომ მისდევდნენ მათთვის რჩეულ რელიგიას, რათა ნებისმიერი ზეციური ღვთაება იყოს კეთილმოსურნე და მწყალობელი ჩვენს მიმართ და ჩვენი ქვეშევრდომების მიმართ. ამიტომაც მივესალმებით ამ გადაწყვეტილებებს და სამართლიანობას, რომ არ უნდა იყოს აკრძალვები თავისუფალი ნების გამოხატვაში, გინდაც ქრისტიანთა რწმენაზე, გინდაც იმ რელიგიებზე, რასაც თითოეული ჩვენგანი მისთვის საჭიროდ ჩათვლის“*. ამ ედიქტს, რასაც ასევე „ტოლერანტობის ედიქტსაც“ უწოდებენ, მეცნიერები სხვადასხვა შეფასებას აძლევენ. მიუხედავად კონსტანტინესა და ლიციუსის შესანიშნავი და ნათელი აზრებისა, შეუძლებელია არ დავფიქრდეთ თავად არგუმენტის კომპლექსურობაზე; კონსტანტინეს იმპერიაში სხვადასხვა რელიგიების თანაარსებობა აშკარად არის ნაჩვენები ქრისტიანულ და წარმართულ იკონოგრაფიაში. ეს იყო ძლიერი დინამიზმით, კრეატივიზმით აღსავსე ეპოქა, უამრავი ინოვაციებით, ძველისა და ახლის გასაოცარი შერწყმით.

ეს საკითხები მხოლოდ ისტორიკოსს როდი აინტერესებს: „რელიგიურ და პოლიტიკურ სფეროში ხშირად იყო კამათი: შუა საუკუნეებში პაპის დროებითი ძალაუფლება რომ გაემართლებინათ, CinqueCentos (ხუთასიანი წლები) ეპოქაში ძალაუფლება რომ დაეგმოთ, ან კიდევ რვაასიან წლებში ერისკაცობის კონცეფცია რომ შეემუშავებინათ“. თუკი ანტიკური ქრისტიანობის ხანაში მრავლად იყო ისეთი ძვრები, როგორიც მაგალითად III საუკუნის „კალისტიანური გადატრიალება“, როდესაც ეკლესია, პაპი კალისტე I-ის მეთაურობით (+222), იწყებს საკულტო ნაგებობებსა და სამარხებზე უფლების მოპოვებას, კონსტანციუსის ძის ფიგურა ნამდვილად კრიტიკის საგნად რჩება. პროპაგანდა, კონსტანტინეს საწინააღმდეგოდ თუ სასარგებლოდ, იმპერატორის სიკვდილის შემდეგ როდი დასრულდა: იგი ჩვენს დღეებამდე გრძელდება. ელენეს შვილი, თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით, გახლდათ ის, ვინც ქრისტიანობას მისცა შესაძლებლობა, რომ ყოფილიყო ერი და არა „სრულქმნილთა ელიტა“, ან მცირე ჯგუფისთვის გამოყოფილი ექსკლუზიური კლუბი.

მოამზადა მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ

რაბათის ეკლესიის გახსნა

◀ 9 გვ.

ეკლესიის კურთხევის ცერემონიალი დაიწყო ეზოში, სადაც უამრავი ხალხი შეკრებილიყო. ეპისკოპოსმა აკურთხა ტაძარი, მორწმუნეები და ეკლესიის მოძღვარს, მამა ზურაბ კაკაჩიშვილს ტაძრის მთავარი ჭიშკრის გასაღები გადასცა.

წმ. წირვას ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო უძღვებოდა სამღვდელო დასთან ერთად. ეპისკოპოსმა აკურთხა ეკლესიის შიდა კედლები და საკურთხეველი. ხალხის სიმრავლის გამო, მომლოცველთა უმეტესი ნაწილი ეზოდან ადევნებდა თვალს წირვის მსვლელობას. საზეიმო რიტუალს ამშვენებდა თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა კათოლიკური ეკლესიისა და მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდის მშვენიერი, გულში ჩამწვდომი საგალობლები.

ეკლესიასთან ერთად, იკურთხა ჩაკეტილი მონასტერიც, რომელიც მდებარეობს რაბათის ეკლესიის გვერდით, სადაც ამიერიდან ბინას დაიდებენ კაპუცინთა ორდენის მონაზვნები. რასაკვირველია, ისინი ჩაკეტილ გარემოში იქნებიან და მთელ ცხოვრებას გაატარებენ მდუმარე ლოცვაში. ეს დიდი მადლია მათთვისაც, რომლებიც სულიერი ცხოვრებისათვის არიან მოწოდებულნი და მზად არიან, თავიანთი ცხოვრება ღვთისა და მოყვასის სამსახურს მიუძღვნან.

წირვის დასასრულს, ახალციხის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ანსამბლმა მშვენიერი კონცერტი გაგვიმართა, რომელიც განახლებული რაბათის ტერიტორიაზე – რაბათის ციხესთან ჩატარდა.

ეს დღე დაუვიწყარი იქნება მათთვის, ვინც რაბათის ეკლესიის კურთხევას დაესწრო. მადლობა უფალს ამ დიდი სიხარულისთვის.

დაე, წმიდა სავარდის დედუფალმა დაისადგუროს ჩვენს გულებში.

მაია ანთიძე

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დღე საქართველოს კათოლიკეთა ცხოვრებაში

ახალციხე მუდამ იყო საქართველოში კათოლიკური რწმენის ცენტრი და საძირკველი. აქ მოღვაწეობდა ბევრი გამოჩენილი ღვთისმსახური, რომლებიც თავდაუზოგავად იღვწოდნენ ქრისტიანული რწმენისა და ქართული სულიერების გადასარჩენად. მაშინ, როდესაც ჯერ ოტომანთა იმპერიის, ხოლო შემდეგ ქრისტიანული რუსეთის მიერ იდევნებოდა ყოველგვარი ქართული და ეროვნული, ახალციხიდან ვრცელდებოდა სტამბულის ქართულ სავანეში დაბეჭდილი ქართული სასულიერო და საერო წიგნები.

როდესაც ჩვენმა საკრებულომ ახალციხის სავარდის დედუფლის სახელობის კათოლიკური ეკლესიის აღდგენისა და აგრეთვე დედათა მონასტრის დაარსების გადაწყვეტილება შეიტყო, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ჩვენ, ბათუმის სამრევლო, მთელი საქართველოს კათოლიკურ საკრებულოებთან ერთად, განუწყვეტლივ ვლოცულობდით სამშენებლო სამუშაოების დროულად და მშვიდობიანად დასრულებისათვის და შეძლებისდაგვარად შესაწირავსაც ვაგროვებდით მშენებლობის ხარჯებისთვის.

და აი, დადგა ნანატრი დღეც. ბათუმელი კათოლიკეების მცირე ჯგუფი გამთენიისას გავემართეთ ახალციხისკენ. სამწუხაროდ, საკრებულოს ზოგიერთმა წევრმა ვერ შეძლო ახალციხეში გამგზავრება სხვადასხვა მიზეზის გამო, თუმცა სურვილი დიდი იყო. ჩვენ თერთმეტი საათისთვის უკვე რაბათში ვიყავით. უამრავი მორწმუნე შეკრებილიყო და ხალხის ნაკადი განუწყვეტლივ მოედინებოდა. აღდგენილმა ეკლესიამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, იგი ზემოდან გადმოჰყურებს ახალციხეს.

წმიდა წირვა საზეიმო მსვლელობით დაიწყო. ეკლესიის კარებთან ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ ტაძრის გასაღები გადასცა ახალციხის ეკლესიის მოძღვარს, მამა ზურაბ კაკაჩიშვილს. ყველანი გალობით შევედით ტაძარში. ეპისკოპოსმა მირონი სცხო საკურთხეველს, სადაც მონაზვნებმა წმიდანთა რელიკვიები ჩაასვენეს. შემდეგ ექვსმა მღვდელმა მირონი სცხო ტაძრის ყოველ მხარეს.

წმიდა საყდრის დესპანმა, მონსინიორ მარეკ სოლჩინსკიმ წაიკითხა, წმიდა მამის სახელმწიფო მდივნის, **კარდინალ ტარჩიზიო ბერტონეს** წერილი რაბათის ეკლესიის აღდგენასთან და ბენედიქტელთა მონასტრის გახსნასთან დაკავშირებით და ყველას გადასცა წმ. მამის კურთხევა.

წირვაში მონაწილეობას იღებდა საქართველოში მოღვაწე თითქმის ყველა სასულიერო პირი და მღვდელმსახური, აკოლიტები და მინისტრანტთა დიდი გუნდი. მორწმუნეთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ ისინი ეკლესიამ ვერ დაიტია და უმრავლესობამ ზიარების საიდუმლო ტაძრის ეზოში მიიღო.

აღსანიშნავია, რომ ეს ლამაზი წირვა ორგანიზებული იყო მამა გაბრიელეს მიერ. ის იყო აგრეთვე სამშენებლო სამუშაოების ორგანიზატორი.

წირვის დასრულების შემდეგ, მიგვიპატიჟეს ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივით ორგანიზებულ კონცერტზე, რომელიც რაბათის განახლებული ციხის ტერიტორიაზე ჩატარდა.

შთამბეჭდავია აღდგენილი და განახლებული რაბათის ციხე. სამწუხარო ისაა, რომ ამ გრანდიოზული სამუშაოს შესრულებისას მთავრობას არ გახსენებია კათოლიკური ეკლესია, რათა დახმარება გაეწია აღდგენით სამუშაოებში. რაბათის ციხეში გულთბილი შეხვედრა მოეწყო, ძლიერ მესიამოვნა, როცა ამ შეხვედრაზე დავინახე მართლმადიდებელი სასულიერო პირები, რომლებიც მეგობრულად ესაუბრებოდნენ ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს, მამა გაბრიელეს და სხვა კათოლიკე მოძღვრებს.

კონცერტის დასრულების შემდეგ, შთაბეჭდილებებით დატვირთულნი, შინისაკენ გავეშურეთ. უკან რჩებოდა მზით გაცისკროვნებული ახალციხე და რაბათის სავარდის დედუფლის ეკლესია. ნიშანდობლივია, რომ მთელი გზის მანძილზე, მშვიდობისა და სიყვარულის ნიშნად, თავზე გვადგა ულამაზესი ცისარტყელა.

6 ოქტომბერი დაუვიწყარ და ნათელ დღედ დარჩება ჩვენს ცხოვრებაში. იგი მომავლისადმი იმედით გვავსებს. დედათა მონასტრის მონაზვნები განუწყვეტლივ ილოცებენ ჩვენი საკრებულოების, მთელი საქართველოს, ჩვენი ხალხის მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის.

(რუბრიკაში გამოყენებულია სერგეი ფიდანიანის ფოტოები)

თენგიზ პარმაქსიზიშვილი

პატივცემულ დედა ბენედეტა დ'ანჯელოს, წმ. მარკოზის ბენედიქტელთა მონასტრის აბატს

რაბათის ბენედიქტელთა მონასტრის გახსნასთან და ოფიდის საკრებულოდან მონაზვნების საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, მოგმართავთ პონტიფექსი ბენედიქტე XVI და სულიერად გიერთდებათ ამ მოვლენასთან დაკავშირებულ სიხარულში. გისურვებთ, რომ ამ მნიშვნელოვანმა მოვლენამ განამტკიცოს მონაზვნებში ღვთისადმი ერთგული და მგზნებარე მიძღვნა ლოცვით, რათა შეინარჩუნოთ ეკლესიის საქმის ყოველდღიურობა, რომელიც მიემართება წუთისოფლის დევნასა და ღვთაებრივ ნუგეშისცემას შორის და მოვუხმოთ სავარდის ნეტარ ქალწულ მარიამსა და წმ. ბენედიქტე პატრიარქს და გამოვთხოვოთ ღვთაებრივი უხვი მადლის გადმოღვრა შინაგანი ერთობისაკენ მუდმივ სწრაფვაში.

გულითადი მოკითხვა მის ყოვლადუსამღვდელოესობას, მეუფე ჯუზეპე პაზოტოს, რომელიც უძღვება წმ. წირვის აღვლენას, ასევე დედა წინამძღვარს და მასთან მყოფ მონაზვნებს.

სამოციქულო კურთხევა ამ მოვლენაში მონაწილე ყოველ მორწმუნეს.

კარდინალი ტარჩიზიო ბერტონე,
მისი უწმიდესობის სახელმწიფო მდივანი
ქ. ვატიკანი

სულიერი საუბრები

აბატ წმიდა ბერნანდოს „საუბრებიდან“

რას ემსახურება ჩვენს მიერ წმიდათა ქება, ვისადმია ჩვენი დიდების შესაწირავი, რას ემსახურება ჩვენი დღევანდელი ზეიმი? რატომ მივაგებთ ამქვეყნად პატივს მათ, როდესაც ძის აღთქმისამებრ, ზეციერი მამა მიაგებს მათ პატივსა და დიდებას? მაშ, რად ვეთაყვანებით ასე? წმიდებს არ სჭირდებათ ჩვენგან პატივი და დიდება, კულტად გახდომაც არაფერში შეენევა მათ. ცხადია, როდესაც მათ ხსოვნას პატივს ვცემთ, მათ სურვილებს კი არ ვაკმაყოფილებთ, არამედ ჩვენსას. ჩემი მხრივ, ვაღიარებ, როდესაც წმიდებზე ვფიქრობ, მწველი სურვილი მიპყრობს: პირველი სურვილი, რასაც წმიდათა ხსოვნა ჩვენში იწვევს, ან გვაგულიანებს, არის ის, რომ ვხარობდეთ მათთან საამური მეგობრობით და ჩვენც ღირსი გავხდეთ ნეტარ სულთა თანამეინახობისა, ერთად ვიყოთ პატრიარქთა დასში, წინასწარმეტყველთა გუნდში, მოციქულთა სენატში, წამებულთა უზარმაზარ არმიაში, აღმსარებელთა საკრებულოში, ქალწულთა გუნდში, მოკლედ, ყველა წმიდათა ზიარებაში ვიყოთ შეკრებილნი და ასე ვხარობდეთ.

პრიმიტიული ქრისტიანული საკრებულო გველის, და ჩვენ ინტერესს არ ვიჩენთ? წმიდანებს სურთ, მათთან დავრჩეთ, ჩვენ კი გულგრილობას ვიჩენთ? მართალნი გველიან, და ჩვენ არაფრად ვაგდებთ მათ? არა, ძმანო, უნდა განვეშოროთ ჩვენს საძრახის გულცივობას. აღვდგეთ ქრისტესთან ერთად, ვეძიოთ იმსოფლიური საქმენი და ვხარობდეთ მათით. ვიგრძნოთ სურვილი იმ ადამიანთა, ვინც ჩვენ გვისურვებს, ვიჩქაროთ მათკენ, ვინც გველის. ვისურვოთ არა მხოლოდ წმიდათა მეგობრობა, არამედ ამ გზით ბედნიერების მოპოვება. როცა მათთან ერთობაში ყოფნაზე ვოცნებობთ, გულში მწველ სურვილს ვაღვივებთ, რათა მათთან ერთობაში ჩვენც ვეზიაროთ დიდებას. ეს არ არის უხამსი ოცნება, მაგრამ დიდების ასეთი წყურვილი, სხვა რომ არაფერი, საშიშია. ამასობაში, უზენაესი ჩვენს წინაშე წარდგება არა იმ ფორმით, როგორც ამჟამად ზეცაშია, არამედ ისე, როგორც მან ისურვა ამ მიწაზე ჩვენთან ყოფნა, ანუ მას ვხედავთ არა დიდების გვირგვინით მოსილს, არამედ ჩვენი ცოდვების ეკლის გვირგვინით. ამიტომაც, ყველა წევრს უნდა რცხვენოდეს, როცა თავს იწონებს ეკლის გვირგვნით მოსილი თავის წინაშე. უნდა შეიგნოს, რომ ეს კოპწიაობა სულაც არ მიაგებს მას პატივს, არამედ სასაცილო სიტუაციაში აყენებს. დადგება ქრისტეს მოსვლის ჟამი, როდესაც აღარ აუწყებენ მის სიკვდილს. მაშინ ჩვენც გავიგებთ, რომ მკვდრები ვართ და რომ ჩვენი ცხოვრება დაფარულია მასთან ერთად ღმერთში. მაშინ გვეჩვენება ქრისტე, განდიდებული, და მასთან ერთად გაიბრწყინებს შარავანდედით მოსილი წმიდათა დასი, მაშინ გარდასახავს ჩვენს მდაბალ სხეულს და დაამსგავსებს მას თავის დიდებას, რომელიც თავად არის.

მაშ, სრული თავისუფლებით ვიოცნებოთ დიდებაზე. ჩვენ ამის სრული უფლება გვაქვს. მაგრამ ბედნიერების ჩვენი ეს შეუდარებელი იმედი რეალობად რომ იქცეს, აუცილებელია წმიდანთა შეწევნა. თავდაუზოგავად ვევედროთ მათ, რადგან მათი მეოხებით ჩვენ მივალთ იქ, სადაც მარტონი ოცნებაშიც კი ვერ მივიდოდით.

(Disc. 2; Opera omnia, ed. Cisterc. 5 [1968] 364-368)

ეკვსი შეკითხვა ლოცვის შესახებ

6. რა არის კათოლიკური მისტიციზმი?

მისტიციზმი კათოლიკური სულიერების ის მწვერვალია, რომელიც მისაღწევად ძნელი მისაღწევია. ჩვეულებრივ, სულიერ ცხოვრებას ადამიანი იწყებს განწმედით, რაც გამოვლინდება შებრძოლებაში მანკიერ თვისებებსა და ცდუნებებთან და განშორებაში ყოველგვარი ცოდვისაგან. სხეულებრივ მისწრაფებათა დათრგუნვა (მოკვდინება) და ცოდვათა გამო სინანული ძალას იძლევა ამ საწყის დონეზე. შემდეგ მოსდევს ნათელხილვის საფეხური, რომლის დროსაც ადამიანი ხედავს ჭეშმარიტების ნათელს, – უკვე არა იმდენად ცოდვებისაგან განშორებით, რამდენადაც ზნეობრივ სიქველეთა და სიკეთის ძიებით. შემდგომი, მესამე საფეხურია ერთიანობა, როცა ადამიანი უშუალო თანაზიარებას ამყარებს ღმერთთან. აი, სწორედ აქ მკვიდრდება მისტიციზმი.

მედიტაცია ნათელხილვითი მეორე საფეხურის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ მისტიკა საკუთარ თავს კონტემპლაციაში მოიპოვებს. მედიტაცია არის გონების (ინტელექტის) თავდაპირველი კონცენტრაცია ქრისტიანული სარწმუნოების საიდუმლოებათა შესახებ (მაგალითად, განკაცება, სამება, უბიწოება) და ემყარება შეგრძნებებს, წარმოსახვას, მახსოვრობასა და განცდებს.

მეორე მხრივ, კონტემპლაცია არის არა პიროვნების ვედრება ღმრთის მიმართ, არამედ ღმრთისაგან მონიჭებული ძღვენი, როცა ღმერთი ურთიერთობს ადამიანთან „cor ad cor loquitur“ – გული ესაუბრება გულს – ადამიანის სულის მშვიდი, მყუდრო განდგომილობის მდგომარეობაში. მხოლოდ უშუალო, პირადი კავშირი ღმერთთან იძლევა თავისუფალი კონტემპლაციის საშუალებას. ისინი, ვინც ამას მიაღწევენ, მიჩნეული არიან მისტიკოსებად ან მჭვრეტელებად. ყველაზე ცნობილი კათოლიკე მისტიკოსები არიან წმიდა იოანე ჯვრისა, წმიდა ტერეზა ავილელი, წმიდა ეგნატე ლოიოლა.

კათოლიკური კონტემპლაციის საგანი არაა თავად კონტემპლაცია (როგორც წარმართული ან არაქრისტიანული მისტიციზმის შემთხვევაში), – ის მიზნად ისახავს სიწმიდის ძიებასა და სიწმიდის მიღწევას, რათა ადამიანმა შეძლოს, უფრო ახლოს მივიდეს და უკეთ შეიცნოს სიწმიდის წყარო, წმიდათაწმიდა, თავად ღმერთი.

როცა უარყოფილია მიჯაჭვულობა ამ ქვეყნის მიმართ, ამქვეყნიურ საგანთა მიმართ (იქნება ეს სხვადასხვა სახის შეპყრობილობანი, ფული, ძალაუფლება თუ განცხრომა), მაშინ უკვე ჩნდება სხვაგვარი მიჯაჭვულობანი (აღიარება, მადლიერება, დასტური, გაცნობიერება). ბოლოს და ბოლოს ადამიანური თვითობა („ეგო“) უნდა გაუქმდეს, რომლის შედეგად მისტიკოსები „კვდებიან საკუთარი თავისათვის“. ადამიანის ნება მსხვერპლად უნდა იქნეს შეწირული, რათა მისი ადგილი დაიკავოს ღმრთის ნებამ.

წმიდა ეკატერინე სიენელს ჰქონდა მისტიკური ექსტაზის გამოცდილება, რომლის დროსაც იგი განიცდიდა აღმაფრენას და უმალ გრძნობდა ტკივილსა თუ სიხარულს თავის სხეულსა და სულში. წმიდა ფრანცისკე ასიზელი და წმიდა მამა პიო იყვნენ მისტიკოსები, რომლებიც, ამავდროულად, კურთხეულნი იყვნენ სტიგმებით (მათს სხეულზე აღიბეჭდებოდა ქრისტეს ხუთი ჭრილობა).

(წინა შეკითხვები ლოცვის შესახებ იხ. „საბა“, 2011, №7-11.)

მასალა მოამზადა **მერაბ ღაღანიძემ**

„ერთად ცხოვრება – ეს მომავალია“

ზუსტად ოცი წლის შემდეგ, – მას მერე, რაც ყოფილ იუგოსლავიაში, კერძოდ კი ბოსნიაში, 1992-1995 წლებში ძმათამკვლელი ომი დაიწყო, – 2012 წლის 9-დან 11 სექტემბრამდე, სარაევო მსოფლიო რელიგიებს შორის დიალოგის ასპარეზად გადაიქცა; ამოცანა, რომელიც წმიდა ეჯიდიოს საკრებულომ ყოველწლიური შეხვედრების ფორმით დაისახა, ბოსნია-ჰერცოგოვინას ისლამურ საკრებულოსთან, სერბიის ორთოდოქსულ ეკლესიასთან, სარაევო-ბოსნიას კათოლიკურ არქიეპარქიასთან და ბოსნია-ჰერცოგოვინას ებრაულ სათემოსთან ერთად, წელს შემდეგ თემაზე გაიმართა: „ერთად ცხოვრება მომავალია“. შეხვედრაში აქტიურად ჩაერთვნენ: ევროსაბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპი, იტალიის პრემიერი მარიო მონტი, იტალიის ინტეგრაციისა და კოოპერაციის საკითხების მინისტრი ანდრეა რიკარდი, ბოსნიის, ხორვატიისა და მონტენეგროს რესპუბლიკის პრეზიდენტები და სხვ. ასევე კათოლიკე, ებრაელი, მუსლიმანი და ორთოდოქსი სასულიერო პირები. ბოსნია-ჰერცოგოვინას დიდმა მუფტმა მუსტაფა კერიკიმ (Mustafa Ceric), ისრაელის რაბინთა გენერალურ დირექტორს ოდედ ვიენერს მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული ებრაული მანუსკრიპტი გადასცა (ის 1,2 მლრდ ევროდ არის შეფასებული), რომელიც ესპანეთში, XVI ს-ში არის დამზადებული სეფარდიტას საკრებულოს მიერ. მანუსკრიპტი პირველად ვენეციაში მოხვდა, სადაც ერთმა კათოლიკე მღვდელმა ის განადგურებას გადაარჩინა. შემდეგ, 1890 წ-ს ბალკანეთში იქნა ჩატანილი, სადაც მუსლიმებმა იგი ორჯერ გადაარჩინეს განადგურებას: პირველად ნაცისტებისაგან და შემდეგ 90-იან წლებში ბომბებისგან.

სიმბოლური ფაქტი გახლდათ სარაევოში ბოსნიის მართლმადიდებელი პატრიარქის, ირინეის ჩამოსვლა, შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად; ორთოდოქსული ეკლესიის თავი, ომის დასრულების შემდეგ, პირველად ჩამოვიდა სარაევოში. პატრიარქი კათოლიკურ საკათედრო ეკლესიაში წმიდა წირვას დაესწრო და განაცხადა, რომ: „მშვიდობა ყოვლად აუცილებელია“ და ამ მოვალეობისკენ მან ყველას მოუხმო. მსურველებს შეუძლიათ ნახონ ევქარისტიული ლიტურგია, ბოსნია-სარაევოს მთავარეპისკოპოსის, კარდინალ პულჟიჩის მიერ აღვლენილი მესა YouTube-ზე: http://youtu.be/A66WkqJ4yF.

პატრიარქმა გამოხატა სურვილი იმისა, რომ „უფრო მეტად უნდა იმართებოდეს საუბარი მშვიდობაზე, რაც ასე ძვირფასია ყველა ჩვენგანისთვის“, და რომ „ის, რაც წარსულში მოხდა, უკან დარჩა და აღარასდროს არსად არ უნდა განმეორდეს“. ეს მრავლისმთქმელი სიტყვებია, თუკი ანგარიშს გავუწევთ იმას, ვინ და სად წარმოთქვამს მას. შემწყნარებლობისკენ მოუწოდა დიდმა მუფტმა და აღნიშნა, რომ მრავალი მსხვერპლი იმსახურებს „ჩვენს გულწრფელ მოვალეობას ჭეშმარიტების, სამართლიანობის, მშვიდობისა და შემრიგებლობის საქმეში, ჩვენს პატიოსან დაპირებას ღვთისა და კაცობრიობის წინაშე, რომ ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ აღარასოდეს იწვნიონ ადამიანებმა ის, რაც აქ გადაიტანეს“. „არ არსებობს წმიდა წიგნი, რომელიც ქადაგებს ჩვენგან განსხვავებულისა თუ სხვის განადგურებას, – განაცხადა იაკობ ფინჩიმ, ებრაული სათემოს წარმომადგენელმა, – თუნდაც ისინი ერთადერთი ღვთის რწმენას არ ეთანხმებოდნენ. თუკი ყველანი ღვთის სახებად ვართ შექმნილნი, და განსხვავებულები ვართ, სიკეთეში უნდა გავეჯიბროთ ერთმანეთს“. სარაევოს ეპისკოპოსმა ვინკო პულჟიჩმა აღნიშნა, რომ „ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის გარეშე ვერ დამყარდება სტაბილური და ხანგრძლივი მშვიდობა“.

ყველა ნიშანი მეტყველებს იმაზე, რომ „რელიგიები წმიდად არ შერაცხავენ ომებს (...), მაშინაც კი, თუ ეს წარსულში მოხდა“, – განაცხადა მინისტრმა რიკარდიმ. მანვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ „წმინდაა მხოლოდ მშვიდობა და არა ომი“.

ახალი ხელისუფლება — ძველი კათოლიკური ტაძრები

21 ოქტომბერს, კულტურის მინისტრობის კანდიდატმა, გურამ ოდიშარიამ განაცხადა, რომ იმ კათოლიკური ტაძრების სამართლებრივი სტატუსის შესასწავლად, რომლებიც ამჟამად მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაშია, შესაძლოა, სპეციალური კომისია შეიქმნას.

„ამ პრობლემების შესახებ ვიცი, მაგრამ ჩვენ ახლა ვცდილობთ და როდესაც ჩამოვაყალიბებთ ჩვენს სტრუქტურას, ყველა მიმართულებით აუცილებლად შეიქმნება საბჭო, კომისია, რომელიც ამ საკითხებზე იმუშავებს. ჩემი სუბიექტური აზრი დღეს არაფერს არ ამბობს. მთავარია, ამ დღეებში, ან ერთი-ორი კვირის შემდეგ ამუშავდება კომისია, რომელიც შეისწავლის ამ საკითხს ღრმად. ჩვენი პირველი მოთხოვნა იყო და არის ის, რომ სამართლიანად, კანონის შესაბამისად უნდა გადაწყდეს ეს ყველაფერი“, – განაცხადა გურამ ოდიშარიამ.

კათოლიკე მღვდლის, მამა აკაკი ჭელიძის განცხადებით, მას არ აქვს ილუზია, რომ ისტორიულ პატრონს ტაძრებს ასე მარტივად გადასცემენ – „მე მხოლოდ შემიძლია ვიმედოვნო, რომ ყველაფერი სიმართლისა და სამართლის შესაბამისად გადაწყდება“.

კათოლიკური თემი წლებია ხუთი ტაძრის გადმოცემას მოითხოვს. ისინი ამიერკავკასიის კათოლიკურ ადმინისტრაციას გასაბჭოებისას ჩამოართვეს და 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სახელმწიფომ საპატრიარქოს მიაკუთვნა. ტაძრები, რომელთაც სადავოდ მოიხსენიებენ, ქუთაისში, გორში, ბათუმში, უდესა და ივლიტაში დგას. მათგან ზოგიერთი მძიმე მდგომარეობაშია: ამ დროისთვის ამოშენებულია კანკელი და წაშლილია ფრესკების მნიშვნელოვანი ნაწილი. განადგურებულია ის წარწერებიც, რომელიც ტაძრების კათოლიკურობას უსვამდა ხაზს.

კათოლიკეებმა ვარდების რევოლუციამდე ქუთაისის კათოლიკური ტაძრის დასაბრუნებლად სასამართლოსაც მიმართეს. მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა. საკულტო ნაგებობა კვლავ საპატრიარქოს დარჩა.

ამიერკავკასიაში კათოლიკე ეკლესიის კანცლერი, მამა აკაკი ჭელიძე ამბობს, რომ აღნიშნული ეკლესიების არაკათოლიკურად გამოსაცხადებლად სინდისზე გადაბიჯებაა საჭირო. „ტაძრები თავად მეტყველებენ საკუთარ პატრონზე. ამის მიხვედრა დიდ ფანტაზიას არ საჭიროებს. შედით ბათუმის კათედრალში და დარწმუნდებით, რომ იქიდან კათოლიკური კვალის წაშლა მხოლოდ მისი სრულად დანგრევის შემთხვევაშია შესაძლებელი“. მამა აკაკის თქმით, სახელმწიფოს ავტორიტეტული მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ წასვლის სურვილი არ ჰქონდა. კანცლერი იტალიის ყოფილი პრემიერის, ჯულიო ანდრეოტის სიტყვებს იხსენებს: „პოლიტიკოსებს ღმერთი არ უყვართ, ის ხომ ამომრჩეველი არ არის“. ამ სიტყვებით ის მართლმადიდებელი ეკლესიის სახელმწიფოზე გავლენას უსვამს ხაზს.

ოცი წლის მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ რესტიტუციის საკითხი სისტემატურად ხვდებოდა როგორც სახალხო დამცველის, ისე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებში, სახელმწიფომ კათოლიკეთა საკულტო ნაგებობების პრობლემის მოგვარება ვერ შეძლო. მან მხოლოდ ახალციხეში, რაბათის ისტორიულ უბანში მდგარი მეთვრამეტე საუკუნის ეკლესიის ნანგრევების დაბრუნება მოახერხა ისტორიული პატრონისთვის. ამას სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა – რაბათის ტაძარი არ იყო მართლმადიდებელთა საკუთრებაში და, ამასთან, იმ პერიოდში სახელმწიფოს ვატიკანთან დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავება სჭირდებოდა. სამი ქვეყანა, რომელმაც აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, კათოლიკურია. საქართველოს პრეზიდენტი რაბათის ტაძრის გადაცემის შემდეგ, ვატიკანში გაემგზავრა, იქიდან კი ლათინურ ამერიკაში გაფრინდა. ცოტა ხნის წინ რაბათის კათოლიკური ტაძრის გარშემო ბენედიქტელი დების მონასტერი გაიხსნა.

აქამდე კომისიის შექმნა რესტიტუციის პროცესის შესაფერხებლად გამოიყენებოდა. კათოლიკურ-მართლმადიდებლური კომისია 2004 წელს შეიქმნა, თუმცა მან საკითხის ადგილიდან დაძვრა ვერ მოახერხა. საქართველოს საპატრიარქო უარს ამბობს კათოლიკეებისთვის ტაძრების დაბრუნებაზე და სახელმწიფო ორი ათწლეულია უუნაროა, დაიცვას მოცემული რელიგიური ჯგუფის საკუთრების უფლება.

წინა ხელისუფლება საპატრიარქოს ნების წინააღმდეგ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ნაბიჯს ვერ დგამდა. მიუხედავად იმისა, რომ წინა წელს, საპატრიარქოს წინააღმდეგობის მიუხედავად, რელიგიური ჯგუფებისთვის რეგისტრაციის წესი მან მაინც შეცვალა. თავად მართლმადიდებელი ეკლესია კი კომისიებს იმისთვის აარსებდა, რომ პრობლემა არ მოგვარებულიყო. ასეთი კომისია, შარშან, ყოველთა სომეხთა პატრიარქის, გარეგინ მეორის საქართველოში ვიზიტის შემდეგაც შეიქმნა. მას უნდა შეესწავლა როგორც საქართველოს ტერიტორიაზე მდგარი ექვსი ტაძრის სომხურობა, რომელთა საკუთრებაში გადაცემასაც სომხეთის სამოციქულო ეკლესია წლებია მოითხოვს, ისე სომხეთის ჩრდილოეთში მდგარი იმ ტაძრების ქართულობა, რომელზე პრეტენზიასაც საპატრიარქო აცხადებს. ბუნებრივია, შედეგი არც ამ კომისიას დაუდია, ისტორიული სამართლიანობის აღდგენის პროცესი კი კიდევ უფრო გაიწელა.

ყველა მიუკერძოებელი მხარისთვის ნათელია, რომ როგორც კათოლიკეთა, ისე სომხური ეკლესიის ქონების ბედი მხოლოდ იმიტომ არის „სადავო“, რომ საქართველოს საპატრიარქოს სურს მისი სადავოდ ქცევა. ყველა ეს ტაძარი ვიზუალურადაც კი შეუძლებელია მართლმადიდებლური გვეგონოს.

მამა აკაკი ჭელიძე ამბობს, რომ მას ესმის ამჟამინდელი მდგომარეობა. ისინი მართლმადიდებლებისთვის მითვისებული ტაძრების მყისიერად წართმევას და კათოლიკეებისთვის გადმოცემას არ მოითხოვენ, თუმცა სურთ, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. „მართლმადიდებელი ეკლესია ამ ტაძრებში წირვა-ლოცვას წლებია აღავლენს, პირველ ეტაპზე, ჩვენ მათ დაბრუნებას და მრევლისთვის ტაძრის წართმევას არც მოვითხოვთ. ჩვენ გვსურს, ეს ტაძრები აღიარებულ იქნას კათოლიკურად და შემდეგ, ეტაპობრივად გადმოგვეცეს, მოძმე ეკლესიის მრევლს უეცრად ღვთისმსახურებისთვის საჭირო სივრცის პრობლემა რომ არ შეექმნას“.

ამ პირობებში, კულტურის მინისტრობის კანდიდატის მიერ კომისიის შექმნის მცდელობა, როცა მისი პოლიტიკური გუნდი საკუთრების უფლების დაცვის ეგიდითაც მოვიდა ხელისუფლებაში, სკეპტიკურობის საფუძველს ნამდვილად იძლევა. ისმის სამართლიანი კითხვა – შეძლებს თუ არა ახალი ხელისუფლება ქვეყნის ყველაზე სანდო რელიგიური ინსტიტუტის ნების წინააღმდეგ წასვლას იმისთვის, რომ საკუთარი მოქალაქეების უფლებები დაიცვას?

ლევან სუთიძე

ჟურნალი „ტაბულა“ (23.10.2012)

(სტილი დაცულია)

მეგრელი „ჯვარის მამა“ გაკათოლიკებული ნიკიფორე ირბახია

(დასაწყისი „საბა“ № 10. 2012)

ჩვენი ისტორიის ცოდნით, ნიკიფორე მიტროპოლიტს, თეიმურაზ მეფისაგან მხოლოდ რუსეთში ვხედავთ ელჩად გაგზავნილს და შარდენის დასახელებული ნიკიფორე ირბახია კი ევროპის სახელმწიფოებშიც მრავალგზის ყოფილა. შარდენის მიერ დასახელებული ნიკიფორე ირბახი, ერთხელ თეიმურაზ მეფეს ევროპაშიც გაუგზავნია ელჩად. განსხვავება აქ იმაშია, რომ შარდენის ნიკიფორე ირბახი 60 წლისა 1672 წელს იყო, ხოლო თეიმურაზ მეფის ნიკიფორე არქიმანდრიტი კი 1640 წელს არა ნაკლებ 70 წლისა იქნებოდა. თეიმურაზის ნიკიფორე მიტროპოლიტი არის მართლმადიდებელი, მკაცრი მფარველი მართლმადიდებლობის. შარდენის ნიკიფორე ირბახია კი პაპის ურბან მე-8 წინაშე, კათოლიკობას უერთდება.

აქ გამოქვეყნებულია ცნობები ამ ორივე პიროვნებაზე, რადგან შეიძლება შარდენი ცდება და ნიკიფორე მიტროპოლიტს იგი არქიმანდრიტად იხსენებს, ან ასე უნდა იყოს ან ისე. ამას ჩვენ ის გარემოებაც გვაფიქრებინებს, რომ ნიკიფორე ირბახი 1628 წელს რომში ყოფილა ჩასული, „კონგრეგაციისათვის“ თეიმურაზ მეფის თხოვნა გადაუცია.

მეფე თეიმურაზი სთხოვდა „კონგრეგაციას“ შემდეგს: დიდად გევედრებით ყურადღება მიაქციოთ ჩემს თხოვნას და დაარწმუნოთ სპარსეთის შაჰი, რომ მე და ჩემს ქრისტიანულ ქვეყანას თავი დაგვანებოს, მოგვასვენოს. მე თანახმა ვარ რომთან დაკავშირების, კათოლიკე სარწმუნოების აღიარების, ჩემი თანხმობა მე გადავეცი პირადად ნიკიფორე ირბახს, ის გამოგიცხადებთ ყოველივეს, რომ სრული მორჩილი ვარ რომის წმინდა ტახტისა. მეფე თეიმურაზის თანახმად, ნიკიფორესაც დაწვრილებით მოუხსენებია მეფის განზრახვა კათოლიკობასთან დაკავშირების შესახებ. ამას გარდა, კარგად უცნობებია „კონგრეგაციისათვის“ საქართველოს ძნელი მდგომარეობის შესახებ და განსაკუთრებით კახეთის. პაპმა ურბან მე-8 დიდი ყურადღება მიაქცია ნიკიფორეს საუბარს, იგი როგორც ჭკვიანი დიპლომატი, ცნობილ იქნა საქართველოს ელჩად ევროპის სახელმწიფოთა წინაშე ოფიციალურად.

ნიკიფორე ირბახის თხოვნის შესახებ „კონგრეგაციას“ სხდომები გაუმართავს. ერთ უკანასკნელ კრებაზე ნიკიფორე უცვნიათ საქართველოს მხრივ ოფიციალურ პირად, ამიტომ მისთვის სინამდვილის მოწმობა მიუციათ, ქართველი მეფის ელჩად უცვნიათ. მოწმობაში წერია „ნიკიფორე ირბახი, ბერი წმიდის ვასილის კრებისა“. ეს მოწმობა ნიკიფორეს საშუალებას აძლევდა, რომ ევროპის ქრისტიანულ სამეფოებში ევლო, იქ ენახა სამეფო პირნი და საქართველოს მდგომარეობის შესახებ ესაუბრა მათთან და დახმარება დაევალებინა. „კონგრეგაციამ“ ნიკიფორეს წერილები გაატანა ესპანეთის და ნეაპოლის მეფეებთან, რათა მათ ნიკიფორე პატივით მიეღოთ, საქართველოს კანონიერ დიპლომატად ეცნოთ და მისი თხოვნისათვის ყურადღება მიექციათ. ნიკიფორემ მოიარა მთელი ევროპის სახელმწიფონი და ნეაპოლის და ესპანეთის მეფეს საქართველოს შესახებ ესაუბრა.

მათ ნიკიფორეს მოხსენება დიდი პატივით მოისმინეს და პასუხიც მალე აუწყეს: ნეაპოლის, ესპანეთის და ზოგიც სხვა მეფენი, პირობას ვდებთ ურთიერთ კავშირზე, ხოლო ეს კავშირი არის იმის მიზეზი და ნიშანი, რომ ჩვენ განზრახვა გვაქვს ოსმალთა წინააღმდეგ ამხედრება, ომის დაწყება, ცხადია, რომ ჩვენგან დაწყებული საქმე თქვენს გარემოებაზედაც იქონიებს გავლენას, ჩვენ თათრებს საკმარისად შევაფერხებთ და საჭიროა, რომ თქვენც ჩვენი მხარე გეკავოთ, ჩვენ გაძლევთ პირობას, რომ თქვენი დამხმარე ვიქნებით. ნიკიფორე დაიმედებულია ამის შემდეგ. ამ მეფეთა თათბირის შემდეგ ნიკიფორე მთელს ევროპის სახელმწიფო პირებს უცვნიათ საქართველოს ნამდვილ დესპანად. ნიკიფორე რომში ჩავიდა 1628 წელს, ხოლო „კონგრეგაციას“ მისი თხოვნა 1628 წლის 20 ივნისს განუხილავს. ნიკიფორეს მგზავრობის შემდეგ, საქართველო ევროპის მრავალ სამეფოთა წინაშე იქნა ცნობილი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ქართველ კათოლიკეთ სასულიერო მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები აღწერილი და დაბეჭდილი ზ. ჭიჭინაძისაგან. თბილისი. მსწრაფლ-მბეჭდავი არ. ვ. ქუთათელაძისა, ნიკ. ქ. №21. 1904–1905 (ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი) (მოამზადა გიორგი როსტომაშვილმა)

რელიგიური თავისუფლება მსოფლიოში: „ახალი საზრუნავები“

არაბული ზაფხულის სეზონი შეიძლება „შემოდგომად“ გადაიქცეს ამ რეგიონში მცხოვრები ქრისტიანებისთვის. ეს ერთ-ერთი აშკარა პრობლემაა იმ პრობლემათაგან, რაც თვალშისაცემია საანგარიშო მოხსენებაში, ანუ რაპორტში, რომელიც რომში, ოქტომბრის თვეში რელიგიური თავისუფლების საკითხებზე საჯაროდ წარმოადგინა „განსაცდელში მყოფი ეკლესიების დახმარების“ მსოფლიო ორგანიზაციამ. ძალადობათა უმრავლესობა სწორედ მუსულმანურ ქვეყნებზე მოდის და, ძირითადად, ასეთი შემთხვევები უმცირესობების მიმართ, კერძოდ კი, ქრისტიანთა მიმართ ხორციელდება.

საანგარიშო მოხსენების პრეზენტაციაზე ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ დღეს საზრუნავს გვიქმნიან ქვეყნები, რომლებიც უახლოეს წარსულში შედარებით მშვიდობიან გარემოში იმყოფებოდნენ; ასეთებია: მაგალითად, ტუნისი, ლიბია (სადაც არის შარიას შემოღების საშიშროება), ეგვიპტე (კოპტთა უმცირესობით, რომლებიც ბოლო ხანებში საშინელ თავდასხმებს განიცდიან) და სირია. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ 2012 წლის საანგარიშო მოხსენება აჩვენებს ისლამური ექსტრემიზმის ზრდის ფაქტებს ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაში, – კენია, მალი, ნიგერია, ჩადი და თვით ტანზანია, – რაც დესტაბილიზაციის საფრთხეს უქმნის ამ კონტინენტის მნიშვნელოვან არეებს.

კონტინენტზე ბოლო ხანებში ფუნდამენტალისტთა მიერ ძალადობის სიმბოლოდ იქცა ნიგერია, სადაც ბოკო ჰარამას სექტამ უამრავი შეტევა განახორციელა ეკლესიებსა და სასულიერო დაწესებულებებზე, მიზანმიმართულად: რაც შეიძლება მალე აღმოეფხვრა ქრისტიანული კვალი. მთავრობათა უუნარობა საფრთხეს უქმნის მოქალაქეებს, ამაზე არაერთხელ განუცხადებია ადგილობრივ საეპისკოპოსოს, რომელიც განუხრელად იბრძვის დიალოგისა და მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის. ქრისტიანთა წინააღმდეგ მიმართული ისლამური ჯგუფების ძალადობა რეგისტრირდება ასევე სუდანში, ერითრეასა და სომალში. რაც შეეხება აზიას, რელიგიის თავისუფლება ძლიერ შეზღუდულია ძირითადად პაკისტანსა და ავღანეთში. ფილიპინების შემადგენლობაში მდებარე კუნძული მინდანაო ქრისტიანებზე მუდმივი შეტევის ადგილია, ხოლო ინდოეთში უგრძესი სია შეიძლება გაკეთდეს ინდუს ნაციონალისტთა მიერ განხორციელებულ ანტიქრისტიანულ ქმედებაზე, მათ შორის, 170 ძალადობის მძიმე ფაქტი აღინიშნა მხოლოდ 2011 წელს.

რელიგიურ თავისუფლებაზე ძალადობის მეორე მხარე პოლიტიკური ხასიათისაა. ჩვენ უკვე აღარ ვიმყოფებით კომუნიზმის ხანაში, მაგრამ „სახელმწიფოთა დევნა“ ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა (თვით ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა ვენესუელა, დაფიქსირდა რელიგიურ სიმბოლოთა შეურაცხყოფის უამრავი შემთხვევა, ან სულაც აშშ, სადაც კამათის საგნად ქცეულა ობამას მიერ მოწონებული სანიტარული რეფორმა, რომელიც დამქირავებლებს ავალდებულებს მათი ხელქვეითების ჯანმრთელობის დაზღვევას, მათ შორის, კონტრაცეპტივებითა და აბორტით უზრუნველყოფას).

როგორც საანგარიშო მოხსენებაშია ნათქვამი, 2011 წელს, ჩინეთში ქრისტიანთა დაპატიმრების მრავალი ფაქტი დაფიქსირდა (კათოლიკეებისა და პროტესტანტების), აკავებდნენ ასევე მუსულმანებსა და ბუდისტებს (ტიბეტელებს); მთავრობის ასეთი სისატიკე, სავარაუდოდ, გამოწვეულია მოსახლეობაში რელიგიის, კერძოდ კი ქრისტიანული რელიგიის, მიმართ გაღვიძებული ინტერესით; დაძაბულობას ზრდის ასევე ახალი, არაფორმალური ორდენების მნიშვნელოვანი ზრდა, გახშრიდა დაკავების შემთხვევები, პაპის ერთგულთა გამწესება „შრომით გამოსასწორებელ ბანაკებში“. ჯერ კიდევ ღიად რჩება მაო ძედუნის დროინდელი კონფისკებული საკუთრების ეკლესიისთვის გადაცემის საკითხი. ჩინეთის გამოცდილებით შთაგონებულმა ვიეტნამის მთავრობამაც შექმნა პატრიოტული ეკლესიები. დევნა გამოიხატება ასევე ღვთისმსახურების შეწყვეტით, რელიგიური შენობა-ნაგებობების ნგრევით, მიწების ჩამორთმევით, მორწმუნეთა მიმართ აგრესიით.

მიანმარში (Myanmar) ანტიქრისტიანულ ქმედებას პოლიტიკური ფონი უდევს საფუძვლად. თვით იმ რეფორმების გატარებამ, რომელიც ქვეყნის საერთაშორისო საკრებულოსთან აკრედიტაციას უწყობს ხელს, ვერ შეარბილა მთავრობის სიძულვილი ქრისტიანული რელიგიისადმი, რომელსაც ისინი „უცხო“ რელიგიად მიიჩნევენ. რელიგიური თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას სისტემური ხასიათი აქვს ლაოსში, განსაკუთრებით მის ჩრდილო ნაწილში, სადაც მთავრობის მხრიდან უმკაცრესი კონტროლი ხორციელდება საკულტო მსახურებაზე. ეს კონტროლი ეხება ასევე კათოლიკე ეკლესიასაც, რომელმაც 2011 წლის იანვარში ისტორიული მოვლენა აღნიშნა: 40 წლის განმავლობაში პირველი მღვდელმსახურის დანიშვა. ჩრდილო კორეა სრულიად შეუვალია რელიგიური თავისუფლების საკითხში, აქ დევნა 1953 წლიდან დაიწყო, მას მერე, რაც ნახევარკუნძული გაიყო. დევნილთა მოწმობით, წამების ფორმებს თანაბრად იყენებენ როგორც ღვთისმსახურთა, ასევე ციხეში მყოფთა მიმართ.

არის თუ არა ევროპა რელიგიური თავისუფლების სამშობლო? ეს ყოველთვის აქსიომად ვერ გამოდგება. ევროკავშირი მშვიდობისათვის ნობელის პრემიით დაჯილდოვდა, ბებერი კონტინენტი გამონაკლისებს ვერ გაექცევა. ძალადობა უწინარესად გამოიხატება სოციალური და იდეოლოგიური კუთხით, მაგრამ არც ძალადობის უშუალოდ გამოხატული ფაქტებია ნაკლები. ავსტრიაში, მაგალითად, უფრო და უფრო აღინიშნება აგრესიისა და შეუწყნარებლობის ფაქტები. შეუწყნარებლობის კუთხით, ვანდალური ფაქტები ქრისტიანული საკრებულოების მიმართ დაფიქსირდა გერმანიის სხვადასხვა ქალაქში და გაერთიანებულ სამეფოში, სადაც შოტლანდიის მთავრობის რაპორტით ვიგებთ, რომ 2010-2011 წლის პერიოდში 693 ბრალდება იყო რელიგიური მოტივით. არატოლერანტული დამოკიდებულების მრავალი ფაქტი აღინიშნება ესპანეთში, შეურაცხმყოფელი სარეკლამო კამპანიების ჩათვლით. პაპის მიმართ შეუწყნარებლობის თვალსაჩინო მაგალითის მოწმენი გავხდით მადრიდში, ახალგაზრდობის მსოფლიო დღეზე. მრავალ აღმოსავლურ ქვეყანაში ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კონფისკებული ქონების დაბრუნების საკითხი, მათ შორისაა, უკრაინა, რუმინეთი, სლოვაკია და მონტენეგრო. ჩეხეთის რესპუბლიკაში მიღწეულ იქნა შეთანხმება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის პრაღის კათედრალის სან ვიტოს საკუთრებაზე (რაპორტში საქართველო დავიწყდათ!).

და ბოლოს, დასაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ალბანეთში ისლამის ყველაზე სასტიკი ფორმები ვრცელდება ახალგაზდა იმამების მიერ, რომლებმაც თურქეთსა და საუდის არაბეთში მიიღეს განათლება. ასევე, თვალი არ უნდა დავხუჭოთ ბოსნია-ჰერცოგოვინაში მიმდინარე ისლამიზაციის პროცესზე, რაშიც უზარმაზარ ინვესტიციებს დებს ირანი და საუდის არაბეთი.

მოამზადა **მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ**

მსოფლიოში მოშიმშილეთა რაოდენობა შემცირდება

2015 წლამდე შესაძლებელია, მსოფლიოში განახევრდეს იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც შიმშილობს. ამგვარ იმედს გამოთქვამს FAO-ს გენერალური დირექტორი, ხოსე გრაციანო დე სილვა, კვების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით. „თუკი ქვეყნები თავიანთი ძალისხმევის მობილიზებას მოახდენენ შიმშილის წინააღმდეგ, მაშინ ეს მიზანი მიღწევადია“. მნიშვნელოვანი ნაბიჯები უკვე გადაიდგა და 1990 წლიდან მოშიმშილეთა რაოდენობა 132 მილიონამდე დაიყვანეს. თუმცა 2007 წლიდან შემცირების პროცესი შეჩერდა. FAO-ს მიერ გავრცელებული სტატისტიკით, მსოფლიოში 870 მილიონი ადამიანი შიმშილობს, განსაკუთრებით აფრიკასა და შუა აღმოსავლეთში. მანვე აქცენტი გააკეთა საკვები პროდუქტების უსაფრთხოების საბჭოს მუშაობის მნიშვნელობაზე; ეს არის ორგანო, რომელიც „ახალი გლობალური ხელმძღვანელობის ქვაკუთხედად“ ითვლება ამ სფეროში. ამიტომაც, შიმშილის აღმოსაფხვრელად გამართულ ბრძოლაში ყველა მხარე გაერთიანებული სულისკვეთებით მუშაობს ამ საბჭოში, რომლის კარიც ღიაა საზოგადო, კერძო, საერთაშორისო თუ კვებასთან დაკავშირებული ყველა სექტორისთვის. კვების საერთაშორისო დღე აღინიშნა 2012 წლის 16 ოქტომბერს, სლოგანით: „პირველი, ნუ გაფლანგავ“. ეს ფუნდამენტური გამოწვევაა მომავლისთვის, რომელიც ეხება წონასწორობას პროდუქციასა და მოხმარებას შორის, განსაკუთრებით მსოფლიოში საკვები პროდუქტების ფლანგვას, რომელიც, FAO-ს მიხედვით, წარმოებული საკვების მესამედს წარმოადგენს, წელიწადში 1,3 მილიარდ ტონას, ანუ პრო-კაპიტალი ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში 95-115კგ/ წელიწადში, ხოლო სამხრეთ აფრიკაში და სამხრეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთში მხოლოდ 6-11კგ/ წელიწადში.

განუსვენე მათ, უფალო!

აგნესა გოგოლაშვილი
* 01.01.1937 – უდე
† 21.08. 2012 – უდე

თინა გოზალოვი
* 15.06.1940 – ვალე
† 22.09. 2012 – ვალე

სარჩევი

რედაქციის გვერდი 2
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 4
კათოლიკე ეკლესია საქართველოში 6
სულიერება 12
კათოლიკური პასუხი 12
ეკუმენური გვერდი 13
ქართული პრესიდან 14
საარქივო მასალები 15
ინფორმაცია 19
საგანგებო ჩანართი .....I-VI

რედაქცია:
მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:
თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 298-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2012

რაბათის ეკლესიის კურთხევა